ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 28 თებერვალი, 2020 №49 (8313) ფასი: 60 თეთრი

თორნიკე მამალაძე: „დეკანოზი გიორგი მამალაძე პროცესზე საკაცით უნდა მიეყვანათ“

„იუსტიციის სამინისტროს არ სურს, საზოგადოებამ დაინახოს, რა მდგომარეობაშია ჩემი ძმა“

გვ.5

28 თებერვლიდან

დიმიტრი შველიძე

ქართველთა ლაშქრობა სპარსეთსა და ხორასანში

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი



გია ხუხაშვილი: „ოპოზიციის ლიდერებმა თბილისის გარეთ უნდა იყარონ კენჭი“

გვ.4

„ოცნებას“ არჩევნების ლეგიტიმურობის ეშინია და ვაჭრობს. შეეშვას თამაშს და გადაწყვეტილება მიიღოს“

კახა კოჟორიძე: „რომან გოცირიძეს მხარს დავუჭერთ, ვანო მერაბიშვილს — არა“

გვ.3

„ოპოზიცია თანამშრომლობის პირობებზე უნდა შეთანხმდეს“

კახა კუკავა: „მთავარმა არხმა ივანიშვილის დავალება შეასრულა“

გვ.3

გვ.2

ზვიად კუპრავას სცენეს

ასლან ბჟანიას ქართველებთან დიალოგის სურვილის გამო საყვედურობენ

გვ.3

მას ომის ვეტერანთა ნაწილი დაუპირისპირდა

გვ.2

სახმელეთო სასაზღვრო გამტარ პუნქტებში მგზავრთა ინტენსიური შემოწმება მიმდინარეობს

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

გვ.5

სუსის უფროსი ისრაელის სახელმწიფოს ელჩს შეხვდა

ISSN 1987-9385

2 მამუკა მდინარაძე: „თუ მმართველ გუნდს 40 პროცენტზე მეტი არ ექნა, მთავრობას ვერ დააკომპლექტებს“

4 სასამართლომ „ანას ბალთან“ მშენებლობა დროებით შეაჩერა

5 „დედა მძინარე მოკლა, ბებიას კი ფხიზელ მდგომარეობაში დაესხა თავს“ მიხეილ ზაუტაშვილს პატიმრობა შეეფარდა

6 იაპონიაში სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები მარტის ბოლომდე დაიკეტება

მამუკა მდინარაძე: „თუ მმართველ გუნდს 40 პროცენტზე მეტი არ ექნა, მთავრობას ვერ დააკომპლექტებს“

– „ქართული ოცნება“ მზად არის, ის წუხილები, რომლებიც შეეხება 40 პროცენტზე ქვევით მხარდაჭერის შემთხვევაში მთავრობის დაკომპლექტების შესაძლებლობას, ოპოზიციას მოვუსმინოთ და ისეთ მექანიზმზე ვილაპარაკოთ, რომელიც ყველა ვარიანტში ამას გამორიცხავს. ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ ჟურნალისტებთან განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებულ დეტალებზე, დიპლომატებთან შეხვედრაზე არანაირი შეთავაზება არ ყოფილა.

– ცოლკე აღებულ რომელიმე მოდელზე საუბარი არ ყოფილა, თუმცა, ზოგად პრინციპებზე ისაუბრეს. შემიძლია დაგიდასტუროთ, მმართველი გუნდი, „ქართული ოცნება“ მზად არის, ის წუხილები, რომლებიც შეეხება 40 პროცენტზე ქვევით მხარდაჭერის შემთხვევაში მთავრობის დაკომპლექტების შესაძლებლობას, მოვხსნათ და ისეთ მექანიზმზე ვილაპარაკოთ, რომელიც ყველა ვარიანტში ამას გამორიცხავს.

ეს არის მთავარი პრინციპი, მთავარი საკითხი. უახლოეს მომავალში გვექნება კიდევ ერთი შეხვედრა, სადაც მე ვფიქრობ, რომ პასუხისმგებლობა უნდა გამოიჩინონ ოპოზიციის წარმომადგენლებმა და რადგან ეს პრინციპი ყველასთვის მისაღებია, რადგან საერთო პრინციპზე ფაქტობრივად, ვთანხმდებით, შეთანხმებაც შედგება, რაც ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარეობს.

ცალკე აღებულ 110/40-ზე ნუ ვისაუბრებთ, რადგან არც 110/40 და არც ცოტა მეტი ან ნაკლები მაჟორიტარული სისტემით თუ პროპორციული სიით გასული დეპუტატი არ გულისხმობს მყარ გარანტიებს 40-პროცენტიან ზღვართან დაკავშირებით. ჩვენ თუ ვიტყვით, რომ ვთანხმდებით პრინციპზე, რომ თუ მმართველ გუნდს არ ექნა 40 პროცენტზე მეტი მხარდაჭერა არჩევნებში, ის ვერ დააკომპლექტებს მთავრობას, ეს არის ამოსავალი წერტილი. დანარჩენი ყველაფერი არის დეტალები, – განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

კომენტარი პარლამენტის პირველმა ვიცესპიკერმა გია ვოლსკიმაც გააკეთა.

– ჩვენი შეთავაზება იქნება ისეთი სისტემა, სადაც პროპორციულიც იქნება ღირსეულად წარმოდგენილი და მაჟორიტარებსაც ექნებათ საშუალება, წარმოადგინონ კონკრეტული საარჩევნო ოლქი – განაცხადა მან.

ვოლსკის თქმით, ამ საკითხზე მუშაობა მიმდინარეობს და სანამ უმრავლესობაში საბოლოო შეთანხმება არ იქნება, დეტალებზე ვერ ისაუბრებს.

– კონსენსუსი აუცილებელია, თუ ეს კონსენსუსი არ იქნა, ჩატარდება არჩევნები ისეთი, როგორც დღეს გვაქვს. აქედან გამომდინარე, ყველა უნდა დაფიქრდეს კერძო პასუხისმგებლობაზე, ადამიანურ პასუხისმგებლობაზე და პარტიულ პასუხისმგებლობაზე ხალხის წინაშე.

ყველას ჰყავს თავისი ამომრჩეველი. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ყველა ამომრჩეველზე და არამარტო ჩვენს ამომრჩეველზე, რადგან ხელისუფლებაში ჩვენ ვართ. აქედან გამომდინარე ლოგიკური შეთავაზება, რასაკვირველია, ჩვენი მხრიდან იქნება.

ლოგიკა ამაში ძალიან დიდია, არასდროს არ გვითქვამს, არც დავუშვებთ იმას, რომ 40 პროცენტზე ნაკლები ჰქონდეს პოლიტიკურ პარტიას და იმას ჰქონდეს პრეტენზია, მართოს ქვეყანა. ამიტომ, ჩვენი შეთავაზება იქნება ისეთი სისტემა, სადაც პროპორციულიც იქნება ღირსეულად წარმოდგენილი და მაჟორიტარებსაც ექნებათ საშუალება, წარმოადგინონ კონკრეტული საარჩევნო ოლქი.

ამ თემაზე მუშაობა მიმდინარეობს და სანამ უმრავლესობაში საბოლოო შეთანხმება არ იქნება, ამ დეტალებთან დაკავშირებით მე ვერ ვილაპარაკებ, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას თქმით, მთავრობას არავისთან კომუნიკაციის პრობლემა არ აქვს, არც საერთაშორისო პარტნიორებთან და არც ოპოზიციასთან.

ის დარწმუნებულია, რომ ყველას ეყოფა პასუხისმგებლობა, თავიანთი ვიწროპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ქვეყანა არ დააყენონ რისკის ქვეშ.

– ყველანაირი პოლიტიკური შეთანხმება შეიძლება ეყრდნობოდეს მხოლოდ და მხოლოდ კონსენსუსს, კონსენსუსი არის შედეგი ყველა მხრის მიერ პატარ-პატარა რაღაცების დათმობის. ეს პროცესია. დარწმუნებული ვარ, რომ ყველას ეყოფა პასუხისმგებლობა იმისთვის, რომ თავიანთი ვიწროპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ქვეყანა არ დააყენონ რისკის ქვეშ, განსაკუთრებით აი, ასეთ მნიშვნელოვან საარჩევნო წელიწადს.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი საერთაშორისო მეგობრები, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები იდეალურად ხედავენ, ვის რა ფუნქცია აქვს, ვინ რას აკეთებს, ვინ უფრო მოტივირებულია მსგავსი კონსენსუსისა და შედეგის მიღწევისთვის და ისინი შესაბამის შეფასებას გააკეთებენ.

მერწმუნეთ, რომ ჩვენ არანაირი პრობლემა კომუნიკაციის არ გვაქვს არავისთან, არც ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან, არც ოპოზიციასთან და ოპონენტებთან, ყოველთვის ღია ვიყავით და ღია ვართ, – განაცხადა გახარიამ.

ჟურნალისტების კითხვაზე, არის თუ არა გამოსავალი პროპორციული არჩევნები, გახარიამ უპასუხა:

– გამოსავალი შეიძლება იყოს სხვადასხვა.

თემურ ჭყონია: „ქართულ ბიზნესს ისეთი ვირუსები აქვს, რომ კორონავირუსი ვერაფერს დააკლებს“

– ქართულ ბიზნესს ისეთი ვირუსები აქვს, რომ კორონავირუსი ვერ დააკლებს ვერაფერს.

ასე აფასებს ბიზნესმენი თემურ ჭყონია ბიზნესზე კორონავირუსის შესაძლო ზეგავლენას.

– სხვათა შორის, კორონავირუსი ყოფილა სხვადასხვა ვირუსების შემადგენელი. ვფიქრობ, ეს შტამი ქართულ ბიზნესში არის, უბრალოდ, მიჩვეული ვართ და არ ვკვდებით. თუ გადახედავთ ისტორიას, გაცხარებული ომის დროსაც მიდის ბიზნესის განვითარება. მთავარია, პანიკა არ იყოს და პანიკაში არ ჩაგვაგდონ. გუშინ ვნახე, გამოვარდა სანიტარი და რაც ირანელს ურტყა, ის ირანელი კორონავირუსს გადაურჩა და საავადმყოფოს ვერ გადაურჩა, – თქვა თემურ ჭყონიამ.

ვანო მერაბიშვილი: „მჭირდება სამედიცინო რეაბილიტაცია“

„რამდენიმე ხანში ვიქნები ფორმაში, რომ ჩემი მოკრძალებული წვლილი შევიტანო ქვეყნის განვითარებაში“

გუშინ, 27 თებერვალს, საქართველოს ექსპრემიერმა ვანო მერაბიშვილმა საქართველოში მიმდინარე პროცესებზე ვარშავაში პრესკონფერენციაზე ისაუბრა.

ვანო მერაბიშვილმა პრესკონფერენცია პოლონეთის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილესთან ერთად გამართა.

ყოფილმა პრემიერმა განაცხადა, რომ შეხვდება მიხეილ სააკაშვილს. მერაბიშვილმა ვრცლად ისაუბრა იმაზე, რომ ქვეყანაში მიმდინარეობს პოლიტიკური დევნა და არ არის არც ერთი ოპოზიციური პარტია დარჩენილი, რომლის მიმართაც პოლიტიკური დევნა არ ხორციელდება.

– სამწუხაროდ, მე არ ვარ ერთადერთი ადამიანი, რომელიც გახდა მსხვერპლი პოლიტიკური დევნის. თითქმის ყველა ყოფილი მინისტრის წინააღმდეგ აღძრული იქნა საქმე. სხვადასხვა ტიპის დევნა მიმდინარეობდა. საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს არ ეძლევა საშუალება საქართველოში დაბრუნების. თბილისის ყოფილი მერი უკვე მესამედაა დაპატიმრებული. ამჟამად, თითქმის ყოველდღე მიმდინარეობს სასამართლო პროცესები სხვა პოლიტიკოსებზე.

ეს არ არის მხოლოდ ჩემი მოსაზრება. ამას იზიარებენ ჩვენი ევროპელი კოლეგები, ამას იზიარებენ ევროპარლამენტის წევრები, ამას ასევე იზიარებენ ამერიკის კონგრესისა და სენატის წარმომადგენლები. ვფიქრობ, რომ ჩემი ვალია, ყველაფერი გავაკეთო იმისათვის, რომ ის ადამიანები, ვინც დაპატიმრებულები არიან, გათავისუფლდნენ.

ამჟამად საქართველოში მთელი ოპოზიციური სპექტრი ერთიანია, მიმდინარეობს მოლაპარაკება ხელისუფლებასთან, რათა შემუშავდეს სამართლიანი საარჩევნო სისტემა. მე ნაწილობრივ ჩავერთე პროცესებში, მაგრამ მჭირდება გარკვეული დრო სამედიცინო რეაბილიტაციისთვის.

რამდენიმე ხანში ვიქნები ფორმაში იმისთვის, რომ ჩემი მოკრძალებული წვლილი შევიტანო ქვეყნის განვითარებაში, – განაცხადა ვანო მერაბიშვილმა.

ცხინვალის რეჟიმმა დანარჩენ საქართველოსთან დამაკავშირებელი ყველა შესასვლელი უვადოდ დაკეტა

ოკუპირებული „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით დე ფაქტო რეჟიმის ე.წ. უშიშროების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, 20:00 საათიდან დანარჩენ საქართველოსთან დამაკავშირებელი ყველა შესასვლელი პუნქტი ჩაკეტა. აღნიშნული შეზღუდვა განსაკუთრებული განკარგულების გამოცემამდე იმოქმედებს. ამის შესახებ სააგენტო „რესი“ ე.წ. უშიშროების კომიტეტზე დაყრდნობით იუწყება.

სააგენტოს ინფორმაციით, ამასთან ერთად, ე.წ. სამხრეთ ოსეთში შეიმუშავებენ საპროფილაქტიკო ზომების გეგმას და რუსეთის შესაბამის სამსახურებთან ურთიერთმოქმედების წესებს, „მოქალაქეებს“ მიეცათ რეკომენდაცია, თავი შეიკავონ სხვა სახელმწიფოებში წასვლისგან.

ზვიად კუპრავას სცემეს

„პრესა. ჯის“ მთავარმა რედაქტორმა გიორგი კაპანაძემ ნაცემი ზვიად კუპრავას ფოტო გამოაქვეყნა.

გიორგი კაპანაძე წერს:

„ამ წუთას რეჟიმის ტიტუშკები დახვდნენ ზვიად კუპრავას სახლთან და ფიზიკურად გაუსწორდნენ. მანამდე ჩემთან იყო ოფისში ერთ-ერთ სკანდალურ თემაზე, რომელიც შს მინისტრის მოადგილეს ეხება.

ასევე, ხვალ იგეგმებოდა აქცია ივანიშვილის სახლთან, სადაც შუშის კოლბა – საკარანტინე ადგილად, ხოლო უზურპატორი მთავარ კორონავირუსად უნდა გამოცხადებულიყო.

ივანიშვილო, პირადად და პერსონალურად ხარ პასუხისმგებელი ამ ნაძირლობაზე. ნამდვილად არ უნდა შეგრჩეს და არც შეგრჩება!“

სახმელეთო სასაზღვრო გამტარ პუნქტებში მგზავრთა ინტენსიური შემოწმება მიმდინარეობს

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საზღვრების მართვისა და კოორდინირების მთავარი სამმართველო საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთისა და დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების მიზნით სასაზღვრო გამტარ პუნქტებში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მაღალი რისკის ზონებად განსაზღვრული ქვეყნებიდან შემოსული მგზავრების შემოწმებასა და საქართველოში მათი განთავსების შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციას უზრუნველყოფს.

ამ დროისთვის მაღალი რისკის ქვეყნებად განსაზღვრულია 4 სახელმწიფო: ჩინეთი, სამხრეთ კორეა, ირანი და იტალია. ასევე, რისკ ჯგუფად განისაზღვრა ყველა იმ მესამე ქვეყნის მოქალაქე და საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც იდენტიფიცირებული არიან, რომ ბოლო ორი კვირის განმავლობაში იმყოფებოდნენ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რისკის ზონად ნომინირებულ სახელმწიფოებში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საზღვრების მართვისა და კოორდინირების მთავარი სამმართველოს თანამშრომლები 24-საათიან რეჟიმში ამოწმებენ ზემოაღნიშნული ქვეყნებიდან შემომავალ მგზავრებს, ასევე, იმ მოქალაქეებს, რომლებიც ბოლო ორი კვირის განმავლობაში იმყოფებოდნენ ხსენებულ სახელმწიფოებში.

მგზავრთა ინტენსიური შემოწმება მიმდინარეობს სახმელეთო სასაზღვრო გამტარ პუნქტებში: „წითელი ხიდი“, „სადახლო“, „სარფი“ და „დარიალი“, ასევე, საჰაერო სასაზღვრო გამტარ პუნქტებში – საქართველოს სამივე აეროპორტში: თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში. გარდა ამისა, აღნიშნულ გამტარ პუნქტებში მუდმივად მორიგეობს სამედიცინო პერსონალი.

აღნიშნულ სასაზღვრო გამტარ პუნქტებში მესაზღვრის მიერ ხდება ქვეყანაში შემომსვლელი მგზავრის რისკის პირველადი შეფასება, მისი ე.წ. მოგზაურობის ისტორიიდან გამომდინარე და საჭიროების შემთხვევაში, მისი ადგილზე მყოფ მორიგე ექიმთან გადამისამართება.

რაც შეეხება სხვა სასაზღვრო გამტარ პუნქტებს, მესაზღვრის მიერ რისკის დაფიქსირების შემთხვევაში ხდება სამედიცინო ბრიგადის გამოძახება, რომელიც ამოწმებს მგზავრს და შედეგის მიხედვით ტარდება შესაბამისი პროცედურები.

საქართველოს სასაზღვრო გამტარ პუნქტებში, ყოველდღიურად, 24 საათის განმავლობაში, 25-დან 30 ათასამდე მოქალაქე შემოდის. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში შემომსვლელი მგზავრი ბოლო ორი კვირის განმავლობაში არ იმყოფებოდა ოფიციალურად განსაზღვრულ რისკ ჯგუფის ქვეყანაში, მისი სავალდებულო სამედიცინო შემოწმება არ ხდება.

ასევე, გაცნობებთ, რომ შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მედიის წარმომადგენლების უსაფრთხოების მიზნით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ჟურნალისტებს შეეზღუდოთ სასაზღვრო გამტარ პუნქტებში თავისუფალი გადაადგილება.

მარტიდან სათამაშო ბიზნესი გარე რეკლამაზე უარს იტყვის

კომერსანტის ექსკლუზიური ინფორმაციით, სათამაშო ბიზნესი მარტის პირველი რიცხვებიდან გარე რეკლამის შეზღუდვას იწყებს. ინფორმაციას ადასტურებს სათამაშო ბიზნესასოციაციის ხელმძღვანელი ზურაბ ბერუაშვილი. როგორც ბერუაშვილი განმარტავს, მიღებული გადაწყვეტილება საზოგადოების მაღალი ინტერესითაა განპირობებული:

– შემიძლია გითხრათ ის, რომ პირველი მარტიდან მინიმუმ თბილისში, მოსახლეობა დაინახავს, რომ სათამაშო ბიზნესის გარე რეკლამა აღარ იქნება. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე ბიზნესმა თვითონ მიიღო გადაწყვეტილება ასოციაციის ფორმატში გარე სარეკლამო სივრციდან გავიდნენ. ეს ეხება როგორც გარე ისე შიდა რეკლამებს, – განმარტავს ზურაბ ბერუაშვილი.

კომერსანტის კითხვაზე, არის თუ არა თანახმა ყველა კომპანია, უარი თქვას გარე რეკლამაზე, სათამაშო ბიზნესასოციაციის ხელმძღვანელის პასუხი შემდეგია:

– ყველა კომპანიის სახელით არ შემიძლია გესაუბროთ, არის რამდენიმე კომპანია რომელმაც ეს გადაწყვეტილება მიიღო. სამწუხაროდ არ შემიძლია ამ კომპანიების ჩამოთვლა არ შემიძლია, ბოლომდე არ არის დასრულებული პროცესი, თავად საზოგადოება შეატყობს, – აცხადებს ზურაბ ბერუაშვილი.

შეგახსენებთ, რომ აზარტული თამაშების რეკლამის აკრძალვა გასულ წელს საკანონმდებლო ორგანოში რამდენჯერმე სცადეს თუმცა, ინიციატივა ინიციატივად დარჩა და ამ დრომდე კანონპროექტის განხილვა დროში ჭიანურდება. აღსანიშნავია იცის, რომ აზარტული თამაშების რეკლამის წინააღმდეგ კამპანიაში აქტიურად ჩაერთო მოსახლეობის დიდი ნაწილიც. მიუხედავად ამისა, არც აღმასრულებელი ხელისუფლება და არც საკანონმდებლო ორგანო აზარტული თამაშების რეგულაციებთან დაკავშირებით არანაირ ნაბიჯს არ დგამს.

კომერსანტი

ახალი ამბები
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

კახა კოჟორიძე: „რომან გოცირიძეს მხარს დავუჭერთ, ვანო მერაბიშვილს — არა“

„ოპოზიცია თანამშრომლობის პირობებზე უნდა შეთანხმდეს“

ნათია ხურცილავა

„ლელო საქართველოსთვის“ ერთ-ერთი ლიდერი **კახა კოჟორიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საერთო ოპოზიციური კანდიდატების შეთანხმებაში „ლელოს“ მონაწილეობაზე საუბრობს.

– ბატონო კახა, ოპოზიციის მაჟორიტარული კანდიდატების შეთანხმებაში „ლელო“ თუ მიიღებს მონაწილეობას?

– „ქართული ოცნება“ დამარცხებისთვის არის განწირული, თუმცა ოპოზიციის კონცენტრაცია ჯერ საარჩევნო სისტემაზე, პროპორციულთან მიახლოებულ ვარიანტზე უნდა უნდა იყოს. ქვეყანაში არავინ იცის, რა სისტემით ჩატარდება არჩევნები. შეთანხმება, კონკრეტული გეგმები საარჩევნო სისტემას უნდა დაეფუძნოს. ვიდრე არ ვიცით, როგორი იქნება არჩევნები, მაჟორიტარებზე საუბარს აზრი არ აქვს. კონტრპროდუქტიულიც კი შეიძლება იყოს დროის დაკარგვის თვალსაზრისით.

თუ ხელისუფლებასთან შეთანხმებას მივაღწიეთ, მორიგი გადაგდებაც არ გამიკვირდება, მაგრამ ამის მერე უფრო უპრიანი მგონია სხვა საკითხებზე მსჯელობა და უკვე ოპოზიციის შიგნით შეთანხმების მიღწევა.

– ოპოზიციასთან კოორდინაციაში თუ ხართ?

– დიახ, ლეიბორისტების ოფისში გამართულ შეხვედრებს ვესწრებით.

– თითქოს ოპოზიცია ბადრი ჯაფარიძეს ვაკეში სთავაზობს კენჭისყრას, მამუკა ხაზარაძეს – ჩოლურთეთის ოლქში. შეგიძლიათ დამიდასტუროთ ეს ინფორმაცია?

– ასეთი კონკრეტული შეთანხმება ნამ-

დვილად არ ყოფილა. არა მგონია, სხვისი გადასაწყვეტი იყოს, „ლელო“ თავის კანდიდატს სად დააყენებს და სად – არა. ასე არ შეიძლება. ღიმილის მომგვრელია, საბავშვო ბაღს ჰგავს ასეთი მიდგომა. ასეთი სულსწრაფობა და მოუმზადებლობა არ ვარგა საერთოდ.

– ისე, აპირებთ საერთო მოქმედებას ოპოზიციასთან? მაჟორიტარებზე შეთანხმებას გამორიცხავთ?

– პირველ რიგში, შეთანხმება პრინციპებზე უნდა მოხდეს, მაგალითად, რის მიხედვით უნდა გადაწყდეს, რომელმა პარტიამ რამდენი კანდიდატი და სად უნდა დააყენოს. ეს საკითხი პარტიის რეიტინგის მიხედვით წყდება თუ თავად კანდიდატის რეიტინგის მიხედვით?! ეს მნიშვნელოვანი საკითხებია. სანამ ასეთ დეტალებზე შეთანხმება არ მოხდება, მანამდე კონკრეტული გვარების გახმოვანება სწორი არ არის.

თუმცა, არ გამოვრიცხავთ, განსაკუთრებით, არსებული საარჩევნო სისტემის პირობებში, ოპოზიციასთან გარკვეულ შეთანხმებას, რადგან „ლელოს“ მიზანი ხელისუფლების შეცვლაა. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ქვეყანა ახალ ეტაპზე უნდა გადავიყვანოთ.

– ოპოზიცია აცხადებს, რომ არჩევნების მოგების შემთხვევაში ვადამდელ არჩევნებს გამოაცხადებს, რომელიც უკვე პროპორციული სისტემით ჩატარდება. ამ საკითხზე „ლელოს“ პოზიცია როგორია?

– თუ ეს არსებული მახინჯი საარჩევნო სისტემა დარჩება, ასეთი შეთანხმების მიღწევა და ამ საკითხის დღის წესრიგში დაყენება ლეგიტიმური იქნება. თუმცა ამ ეტაპზე ამ საკითხზე კონკრეტული პასუხი არ გვაქვს, რადგან ბევრი ფაქტორი უნდა გავითვალისწინოთ. ბევრი დეტალია გასააზრებელი, მარტივი საკითხი არ არის.

– ნაციონალური მოძრაობის კანდიდატებს მხარს დაუჭერთ თუ მაჟორიტარულ ოლქებში შეთანხმება იქნება?

– არ არის გამორიცხული, რომ კონკრეტულ კანდიდატს, მაგალითად, ბატონ რომან გოცირიძეს დავუჭიროთ, თუ ის იქნება კანდიდატი, მაგრამ ვანო მერაბიშვილს ვერ დავუჭერთ, რადგან პრინციპულად მიუღებელია. მე, მაგალითად, ვერ წარმომიდგენია ვანო მერაბიშვილის ირგვლივ გაერთიანებული ოპოზიცია. თუ ნაციონალური მოძრაობა საერთო ოპოზიციურ კანდიდატად დააყენებს ოდიოზურ კანდიდატებს, მაშინ შეთანხმება ვერ მოხდება.

ნაციონალების ასეთი მიდგომა „ქართული ოცნების“ წისქვილზე დაასხამს წყალს. „ოცნება“ კვლავ იტყვის: ჩემი საპირწონე ვანო მერაბიშვილია, ოპოზიციას ვანო მერაბიშვილის ხელისუფლებაში დაბრუნება უნდა. ამ შემთხვევაში ხელისუფლების ამოცანა იქნება, ერთ გემზე აიყვანოს ყველა ოპოზიცია, ყველას ნაცი დაარქვას და ყველას ერთად ცეცხლი გაუხსნას.

ეს ისევ ნაცქოცური დაპირისპირება იქნება და ჩვენ ამ თამაშში ვერავის ავყვებით. ეს ქვეყანას ალტერნატივის შანსს უკარგავს.

– კოალიციური მთავრობის შემთხვევაში?

– ქვეყანაში არსებობს ამოცანები, რომლებიც სახელმწიფოებრივად არის გადასაწყვეტი, მაგალითად, სამართლიანი სასამართლო სისტემის შექმნა. ამ ამოცანის გადასაწყვეტად ნებისმიერ პარტიას, მათ შორის ნაციონალურ მოძრაობას, „ქართულ ოცნებას“, ინაშვილს, ბურჯანაძეს, მზად ვარ, ამ საკითხზე დაველაპარაკო.

ბევრს აწუხებს კომპლექსები – იმასთან ვერ ვითანამშრომლებ, ამასთან ვერ ვითანამშრომლებ. პირადად მე ასეთი კომპლექსები არ მაწუხებს, თუ საქმეს სჭირდება, თუმცა, იმასაც ვიაზრებ, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ შექმნა ეს მახინჯი სასამართლო სისტემა და „ქართულმა ოცნებამ“ გააძლიერა, თავზე ხელი გადაუსვა იმ მოსამართლეებს, რომლებიც სამართალს კი არა, უსამართლობას ემსახურებოდნენ.

ამ ყველაფერს ვიაზრებთ, მაგრამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანის გადასაჭრელად შეიძლება, ასეთ ოპონენტთანაც მოგიწიოს საუბარი.

კახა კუკავა: „მთავარმა არხმა ივანიშვილის დავალება შეასრულა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი **კახა კუკავა** პასუხობს.

– ბატონო კახა, მას შემდეგ, რაც კალაძემ ოპოზიციური პარტიის ლიდერებთან ინდივიდუალური შეხვედრები დაანონსა, მასთან პირისპირ შეხვედრაზე მხოლოდ ორი ოპოზიციური პარტია მივიდა, თქვენ და გირჩი. რაზე ისაუბრეთ ამ შეხვედრაზე?

– კალაძეს მართლა არ შევხვედრივარ. ბოლოს ვნახე შარშან გამსახურდიას იუბილეზე, მარჯანიშვილის თეატრში. მას შემდეგ საერთოდ არ მინახავს.

– „ოცნების“ სხვა ლიდერებიდან შეხვდით ვინმეს?

– არა. შეხვედრები იმართება იმ ხუთეულთან, რომელიც არის ოპოზიციური დელეგაცია, რაღაც არაფორმალურ გარემოში, ამერიკის საელჩოში, საუზმეზე, ვახშამზე და ასე შემდეგ.

– კახა კუკავა და გირჩი შეხვდნენ კალაძესო. ნაცმოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა მითხრა გუშინ.

– კი, გირჩი ნამდვილად შეხვდა. ჩვენ არ შევხვედრივართ, თუმცა არსებობს არაფორმალური კომუნიკაციის უამრავი ფორმა და ამას ოფიციალური შეხვედრები არ სჭირდება. ამისთვის არსებობს ტელეფონი, ვოტსაფი და ასე შემდეგ...

– ანუ ხდება ეს შეხვედრები ფარულად და ამას არ ასაჯაროებენ?

– შეხვედრა რომ იყო ამერიკის საელჩოში, ეს ითქვა და დადასტურდა, უბრალოდ, ოფიციალურ სახეს არ აძლევენ. ხვდებიან და ამას სხვადასხვა სახელს არქმევენ. არის ასეთი ფორმა, მაგალითად, ამერიკის ელჩთან საუზმე...

– რა დათმობაზე უნდა წამოვიდეს ხელისუფლება?

– ხელისუფლება თუ ყველა მაჟორიტარს მოიგებს, არ უნდა შეეძლოს ერთპარტიული მთავრობის შექმნა, თუ ვერ აიღებს ხმების 40%-ს მაინც. ეს არის მთელ მსოფლიოში აპრობირებული წესი. ელემენტარული მათემატიკა გვკარნახობს, იმისთვის, რომ ხელისუფლებამ მიიღოს 40% და ყველა მაჟორიტარი, უნდა იყოს 120/30-ზე დაახლოებით, ანუ 120/30-ზე ნიშნავს იმას, რომ თუ მთავრობა მოიგებს ხმების 40%-ს და მოიგებს 30 მაჟორიტარს, ის შექმნის უმრავლესობას, ხოლო თუ მთავრობა ხმების 40%-ს ვერ აიღებს და აიღებს 35%-ს, მას საარჩევნო სისტემა არ უნდა აძლევდეს მთავრობის შექმნის საშუალებას, უნდა წავიდეს ან კოალიციაში, ან შექმნას კოალიცია.

– მაჟორიტარები ახსენეთ და ოპოზიციური პარტიების კანდიდატების დასახელებამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ამაზე რას იტყვით?

– მე მქონდა საუბარი რამდენიმე პარტიის ლიდერთან პრინციპის დონეზე და ვაცხადებ, რომ ჩვენ ამ პრინციპს მივესალმებით, რომ მაჟორიტარმა ოპოზიციონერმა კანდიდატებმა ერთმანეთს ხმები არ წაართვან. რაც შეეხება გვარებს, გვარებზე არანაირი შეთანხმება არ ყოფილა ოპოზიციის შიგნით და ის ინფორმაცია, რომელიც გაავრცელა მთავარმა არხმა, იყო პროვოკაცია!

– რაში სჭირდებოდათ ეს პროვოკაცია?

– რაც გააკეთა მთავარმა არხმა, იყო პირდაპირ ივანიშვილის დავალების შესრულება! ეს არის ამ საერთო იდეის დისკრედიტაცია! დღეს სამთავრობო პროპაგანდის მთავარი ხაზი არის ის, რომ წარმოაჩინონ, მთელი ოპოზიცია იგივე ნაციონალური მოძრაობაა. გვარამიას არხიც აკეთებს ზუსტად იმავეს. დასკვნები გააკეთოს საზოგადოებამ.

– უკვე არაერთხელ ითქვა, რომ გვარამია ივანიშვილს თამაშს თამაშობს. ასეა?

– მე რაც არ ვიცი, ჭორაობას ვერ დავიწყებ, მაგრამ გვარამია ნადარაიამ გამოაცხადა, რომ აფხაზეთი 2003 წლიდან ციებ-ცხელებაშია. „ამცახარა“ ჯერ კიდევ 2003 წელს მოითხოვდა აფხაზეთის ეროვნული ლიდერის, პრეზიდენტ ვლადისლავ არძინბას გადადგომას. შემდეგ იყო 2014 წლის ამბები.

მისი თქმით, წლევანდელი იანვრის მოვლენები ხელისუფლების ძალით დამხობაა, ვინაიდან ხაჯიმბას ულტიმატუმი წაუყენეს – ან სისხლი დაიღვრებოდა, ან უნდა გადამდგარიყო.

„არუაამ“ გამოაცხადა, რომ საპრეზიდენტო კანდიდატებში მხარს უჭერს ადგურ არძინბას.

ყრილობაზე მიიღეს რეზოლუცია. მასში 9-12 იანვრის მოვლენები შეფასებულია „სახელმწიფოს მეთაურის დამხობად“.

„არუაა“ მიიჩნევს, რომ აფხაზეთის უზენაესი სასამართლოს საკასაციო კოლეგიის გადაწყვეტილება პოლიტიკურია და არა – სამართლებრივი. ამ განაჩენით გაბათილდა ცესკოს გადაწყვეტილება და დაინიშნა ხელახალი საპრეზიდენტო არჩევნები. ამას მოითხოვდა ბჟანიას მომხრე ოპოზიცია და ეწინააღმდეგებოდა ხაჯიმბა.

„არუაა“ აცხადებს, რომ არჩევნები უნდა გაიმართოს ცივილიზებულ ჩარჩოებში ერთმანეთისთვის ლაფის დასხმის გარეშე, უნდა იყოს თანამშრომლობა პარტიებს შორის.

ორგანიზაციისათვის კატეგორიულად მიუღებელია რამე ახალი დიალოგის დაწყება ქართველებთან, გარდა არსებული ფორმატებისა.

ქართველებთან დიალოგის ინიციატივით თვეზე მეტი ხნის წინ გამოვიდა ასლან ბჟანია. მოგვიანებით მან გაიხსენა ვლადისლავ არძინბას სიტყვები. 1997 წელს არძინბამ გამოთქვა რწმენა, რომ „საქართველო და აფხაზეთი ნორმალურად განვითარდებიან და დადგება მომენტი, როცა ჩვენ ერთმანეთს ხელს გავუწვდით“.

არჩევნების წინ საზოგადოების წარმომადგენლები ინტერესდებიან ასლან ბჟანიას პოზიციით ნახშირწყალბადების მოძიება-მოპოვებაზე.

„ახალი თაობა“ წერდა, რომ ეს საკითხი რუსეთის სანავთობო კომპანიებსაც აინტერესებთ. რუსეთის მედიის ცნობით, „როსნეფტი“ იმედიანად უყურებს ახალ საპრეზიდენტო არჩევნებს აფხაზეთში.

ასლან ბჟანია საკითხზე დეტალურად არ საუბრობს. მისი თქმით, იგი ელის აფხაზეთის საპარლამენტო კომისიის დასკვნას. კომისია ადგენს აფხაზეთში ნახშირწყალბადების მოძიება-მოპოვების მიზანშეწონილობასა და მართლზომიერებას.

– ამ კომისიის მუშაობა ძალიან გაჭიანურდა. ამჯერად მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ წიაღისეული აფხაზი ხალხის საკუთრებაა. გადაწყვეტილებები უნდა გამომდინარეობდეს იქიდან, შეესაბამება თუ არა ისინი ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესებს, არის თუ არა ისინი ხელსაყრელი, – აღნიშნა ასლან ბჟანიამ.

ასლან ბჟანიას ქართველებთან დიალოგის სურვილის გამო საყვედურობენ

მას ომის ვეტერანთა ნაწილი დაუპირისპირდა

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებული აფხაზეთის განმეორებითი დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნების მრავალტანჯულ კანდიდატ ასლან ბჟანიას მხარს უჭერს საზოგადოებისა და პოლიტიკური სპექტრის საგრძნობი ნაწილი, თუმცა მას მოწინააღმდეგეებიც ჰყავს.

არჩევნები 22 მარტს უნდა გაიმართოს. ასლან ბჟანიას საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელია ყოფილი პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბი. მას მხარს უჭერს პარტია „ერთიანი აფხაზეთი“ ყოფილი პრემიერის სერგეი შამბას ლიდერობით.

აფხაზეთის საზოგადოების ნაწილი არჩევნების ბოიკოტის მომხრეა. ვეტერანთა საზოგადოებრივი ორგანიზაცია „არუაა“, რომელიც ბჟანიას მოწინააღმდეგეა, ხალხს მოუწოდებს, არ გამოუცხადოს ბოიკოტი მოახლოებულ არჩევნებს.

ბჟანიას მხარდამჭერი ომის ვეტერანთა პარტია „ამცახარა“ და „არუაა“ ერთმანეთთან აქამდეც ვერ რიგდებოდნენ. „არუაამ“ ბოლო დროს მუქარად აღიქვა ბჟანიას გამონათქვამები და ამის საპასუხოდ ნაბიჯები გადადგა.

„არუაა“ გაანაწყენა ბჟანიას განცხადებამ იმის შესახებ, რომ ის და მისი გარემოცვა ადეკვატურები და კულტურულები იქნებიან იმათთან, ვინც ადეკვატურად მოიქცევა, ხოლო ვინც სხვა გზას დაადგება, იმას უჩვენებენ, რისი გაკეთება შეუძლიათ.

ასლან ბჟანიას „არუაას“ ვეტერანებმა თავიანთ ყრილობაზე უპასუხეს. ორგანიზაციის თავმჯდომარეობიდან გადადგა ილია გუნია, რომელიც მხარეებს მოუწოდებდა, თავი შეეკავებინათ ერთმანეთის მწვავე კრიტიკისაგან.

გადადგომამდე გუნიამ აფხაზეთის ომის ვეტერანების გაერთიანება ისურვა და გააკრიტიკა რაულ ხაჯიმბა, რომელმაც ვერ გამოიტანა დასკვნები საზოგადოების კრიტიკული დამოკიდებულებიდან, რისი შედეგიც გახდა იანვრის ამბები.

– ხელისუფლების მიმართ კრიტიკაში სოლიდარული პოზიცია რომ გამოგვემჟღავნებინა, ამ კრიზისამდე არ მივიდოდით, – აღნიშნა ილია გუნიამ.

ილია გუნია თემურ გულიამ შეცვალა.

ორგანიზაციის თანათავმჯდომარე თემურ ნადარაიამ გამოაცხადა, რომ აფხაზეთი 2003 წლიდან ციებ-ცხელებაშია. „ამცახარა“ ჯერ კიდევ 2003 წელს მოითხოვდა აფხაზეთის ეროვნული ლიდერის, პრეზიდენტ ვლადისლავ არძინბას გადადგომას. შემდეგ იყო 2014 წლის ამბები.

მისი თქმით, წლევანდელი იანვრის მოვლენები ხელისუფლების ძალით დამხობაა, ვინაიდან ხაჯიმბას ულტიმატუმი წაუყენეს – ან სისხლი დაიღვრებოდა, ან უნდა გადამდგარიყო.

„არუაამ“ გამოაცხადა, რომ საპრეზიდენტო კანდიდატებში მხარს უჭერს ადგურ არძინბას.

ყრილობაზე მიიღეს რეზოლუცია. მასში 9-12 იანვრის მოვლენები შეფასებულია „სახელმწიფოს მეთაურის დამხობად“.

„არუაა“ მიიჩნევს, რომ აფხაზეთის უზენაესი სასამართლოს საკასაციო კოლეგიის გადაწყვეტილება პოლიტიკურია და არა – სამართლებრივი. ამ განაჩენით გაბათილდა ცესკოს გადაწყვეტილება და დაინიშნა ხელახალი საპრეზიდენტო არჩევნები. ამას მოითხოვდა ბჟანიას მომხრე ოპოზიცია და ეწინააღმდეგებოდა ხაჯიმბა.

„არუაა“ აცხადებს, რომ არჩევნები უნდა გაიმართოს ცივილიზებულ ჩარჩოებში ერთმანეთისთვის ლაფის დასხმის გარეშე, უნდა იყოს თანამშრომლობა პარტიებს შორის.

ორგანიზაციისათვის კატეგორიულად მიუღებელია რამე ახალი დიალოგის დაწყება ქართველებთან, გარდა არსებული ფორმატებისა.

ქართველებთან დიალოგის ინიციატივით თვეზე მეტი ხნის წინ გამოვიდა ასლან ბჟანია. მოგვიანებით მან გაიხსენა ვლადისლავ არძინბას სიტყვები. 1997 წელს არძინბამ გამოთქვა რწმენა, რომ „საქართველო და აფხაზეთი ნორმალურად განვითარდებიან და დადგება მომენტი, როცა ჩვენ ერთმანეთს ხელს გავუწვდით“.

არჩევნების წინ საზოგადოების წარმომადგენლები ინტერესდებიან ასლან ბჟანიას პოზიციით ნახშირწყალბადების მოძიება-მოპოვებაზე.

„ახალი თაობა“ წერდა, რომ ეს საკითხი რუსეთის სანავთობო კომპანიებსაც აინტერესებთ. რუსეთის მედიის ცნობით, „როსნეფტი“ იმედიანად უყურებს ახალ საპრეზიდენტო არჩევნებს აფხაზეთში.

ასლან ბჟანია საკითხზე დეტალურად არ საუბრობს. მისი თქმით, იგი ელის აფხაზეთის საპარლამენტო კომისიის დასკვნას. კომისია ადგენს აფხაზეთში ნახშირწყალბადების მოძიება-მოპოვების მიზანშეწონილობასა და მართლზომიერებას.

– ამ კომისიის მუშაობა ძალიან გაჭიანურდა. ამჯერად მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ წიაღისეული აფხაზი ხალხის საკუთრებაა. გადაწყვეტილებები უნდა გამომდინარეობდეს იქიდან, შეესაბამება თუ არა ისინი ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესებს, არის თუ არა ისინი ხელსაყრელი, – აღნიშნა ასლან ბჟანიამ.

გია ხუხაშვილი: „ოპოზიციის ლიდერებმა თბილისის გარეთ უნდა იყაროთ კენჭი“

„ოცნებას“ არჩევნების ლეგიტიმურობის ეშინია და ვაჭრობს. შეეშვას თამაშს და გადაწყვეტილება მიიღოს“

იაგო ნაცვლიშვილი



26 თებერვალს ევროკავშირის საელჩოს ორგანიზებით ქართველი პოლიტიკოსების შეხვედრა გაიმართა. სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებმა ისადილეს და თან მოსაზრებები გაცვალეს შექმნილ პოლიტიკურ კრიზისზე. შეხვედრაზე რამდენიმე ვერსია გაჟღერდა. პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძემ კი თქვა, რომ ყველა მხარე მზად არის, გარკვეულ დათმობებზე წავიდეს.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ყინულმა ლღობა დაიწყო და ჩნდება თუ არა დიალოგის პერსპექტივა? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **გია ხუხაშვილი** საუბრობს.

– გარკვეული კომუნიკაცია შედგა „ქართულ ოცნებასა“ და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის. თუ ხედავთ დიალოგის რაიმე პერსპექტივას, ეს თუ გამოჩნდა პოლიტიკოსების განცხადებებიდან და, როგორ ფიქრობთ, ჩნდება თუ არა დიალოგის შანსი?

– თუ ასეთი ფორმულა გაჩნდა, მე ამას მხოლოდ და მხოლოდ მივესალმები, იმიტომ, რომ ეს მხოლოდ წაადგება ვითარებას, მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ ყველაფერი ხელისუფლების ნებაზეა დამოკიდებული, დიალოგს მაინცდამაინც არ ველოდები. ასეთი დიალოგი და პოლიტიკური ძალების შეთანხმება მოსალოდნელი არ არის მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ მოლაპარაკებების მაგიდა ააყირავა და მთელი საზოგადოება გადააგდო. ყოველ შემთხვევაში, დიალოგს მაინცდამაინც არ ველოდები. ამ საკითხს პირადად მე სკეპტიკურად ვუყურებ, თუმცა ხელისუფლებას შეუძლია პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება და ოდნავ მაინც პირის მობანა.

– რომელ გადაგდებას გულისხმობთ, პროპორციულის ჩაგდებას თუ უგულავას დაჭერას?

– პროპორციულის ჩაგდება მაქვს მხედველობაში.

აქედან გამომდინარე, თუ ხელისუფლებაში აქვთ ასეთი სურვილი, რომ თუნდაც დასავლეთის თვალში ოდნავ მაინც რეაბილიტაცია მიიღონ, მათ უნდა მიიღონ პოლიტიკური გადაწყვეტილება და არა ისე, როგორც ახლა იქცევიან. მათ კი არ უნდა ივაჭრონ და კი არ უნდა ითამაშონ 110/40-ზე და 100/50-ზე და ა.შ., უნდა მიიღონ პოლიტიკური გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რაზე არიან წამსვლელები. მათ ყოველგვარი ვაჭრობის გარეშე უნდა გააფორმონ ეს გადაწყვეტილება.

– რატომ ვაჭრობს ხელისუფლება, რა მიზანი აქვს?

– ხელისუფლებას ერთადერთი საკითხი აქვს დღის წესრიგში დაყენებული – ძალაუფლების შენარჩუნება. ძალაუფლების შენარჩუნების შანსს კი მხოლოდ მაჟორიტარული სისტემის შენარჩუნების მანკიერ პრაქტიკაში ხედავს. შესაბამისად, ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი მაჟორიტარი დატოვონ საარჩევნო სისტემაში, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მაჟორიტარები არჩევნებს კი არ იგებენ, არამედ ყიდულობენ. შესაბამისად, ეს მათთვის ერთადერთი მექანიზმია და ამისთვის იბრძვიან, მაგრამ თან უნდათ, რომ ცოტათი მაინც სახე შეინარჩუნონ, არა იმდენად საქართველოში, რადგანაც აქ, ფიქრობენ, რომ პრობლემა არ არის, არამედ უნდათ, სახე დასავლეთში შეინარჩუნონ იმის გამო, რომ დასავლეთისგან შემაშფოთებელი კრიტიკა ისმის. ამიტომ ვითომ რაღაც მოლაპარაკებებზე მიდიან.

მაგრამ ამ პროცესს აზრი არ აქვს, რადგან ცვლილებებისთვის, ფაქტობრივად, დრო აღარ არის. ძალიან ცოტა დროა დარჩენილი ამისათვის. შეიძლება ითქვას, რომ ცაიტნოტში ვართ, აქედან გამომდინარე, საჭიროა ჩამოყალიბდნენ და თქვან, რაზე არიან წამსვლელები, გააფორმონ ეს გადაწყვეტილება და პასუხისმგებლობაც აიღონ ამ გადაწყვეტილებაზე.

– არჩილ თალაკვაძემ გვითხრა, რომ ყველა მხრიდან არის დამთმობი ნაბიჯები. მისი ეს განცხადება როგორ გაიგეთ?

– ეს არის ლაი-ლაი, მეტი არაფერი. გასაგებია, რომ ის ცდილობს, რაღაც კონსტრუქციულობანა ითამაშოს, მაგრამ მას ვინ რას ეკითხება?! ხომ ვიცით, რომ არჩილ თალაკვაძეს არავინ არაფერს ეკითხება. ის ცდილობს, სხვებზე დავარცხნილად გამოიყურებოდეს, იმიტომ, რომ ასეთი როლი აქვს.

ეს ყველაფერი არის ფასადი და შეფუთვა, მაგრამ დრო იმისათვის, რომ შეფუთვაზე იმუშაონ და მანევრები აკეთონ, აღარ არის. რაღაა დარჩენილი არჩევნებამდე და ჯერ ისიც კი არ ვიცით, რა სისტემით ტარდება არჩევნები. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებამ ვაჭრობას თავი გაანებოს, რაზეც არის წამსვლელი, ის გააფორმოს და ამით დავამთავროთ.

– ხელისუფლებას არჩევნების ლეგიტიმურობის დაკარგვის ხომ არ ეშინია და ამ თამაშით ხომ არ ცდილობს, ეს აირიდოს თავიდან?

– რა თქმა უნდა, მას ამის ეშინია. ამის რომ არ ეშინოდეს, ამდენსაც არ ილაპარაკებდა. ხელისუფლებას ეშინია დასავლეთისგან ლეგიტიმაციის გარეშე დარჩენის. ამიტომ ახდენს ამის აუიტირებას. ამ პროცესში ელოდებიან, რომ ოპოზიცია დაუშვებს შეცდომას და მოლაპარაკების პროცესში რაღაც ისეთს ჩაიდენს, რითაც დასავლეთის თვალში მათ დააბრალებს არაკონსტრუქციულობას ან თავის სასარგებლო რაღაცას გამოსტყუებს.

შესაბამისად, ეს კატათაგვობანას თამაშია და მეტი არაფერი. ამიტომ არის, რომ რეალური მოლაპარაკებები არ მიმდინარეობს.

კიდევ ერთხელ ვამბობ, ამ ვითარებაში დრო აღარ არის, შესაბამისად, ხელისუფლება ჩამოყალიბდეს თავის თავში, რა არის მათი მაქსიმუმი. ეს მაქსიმუმი გააფორმოს და ჩაირთოს პოლიტიკური პროცესი. აი, ეს არის ერთადერთი სწორი გზა. სხვა ყველაფერი არის მაიმუნობა, მამაძაღლობა და ვირეშმაკობა.

– თავად ოპოზიცია რამდენად თანმიმდევრულია თავის ქმედებებში? ბოლო თემა იყო მაჟორიტარების შერჩევის საკითხზე გავრცელებული ინფორმაცია და მოვისმინეთ ოპოზიციონერების გამოხმაურებებიც, რომელთა ნაწილმა უკმაყოფილებაც ვერ დამალა. რამდენად ლოგიკური გადაწყვეტილებაა ეს?

– ეს გასაგებია. საქართველოში როდის შეთანხმებულან ყველანი, ახლა რომ შეთანხმდნენ?! საქართველოში დამახასიათებელია წინასწარ ნანადირევის გაყოფა. ასე რომ, ჯერ ნანადირევი მონადირებული არ არის. ამ პროცესში ერთმანეთთან ჩხუბი, რას იყოფენ, გაუგებარია, ვინაიდან პოლიტიკური ტაქტიკითა და ცივი გონებით უნდა ესმოდეთ, რომ მათი ამოცანა ის კი არ არის, თვითონ რაც შეიძლება წაიღონ. მით უმეტეს, ახლა რა მიაქვთ?! ჯერ არაფერი ხელში არ უჭირავთ. მათი ტაქტიკა უნდა იყოს, ხელისუფლება როგორ დაამარცხონ. ამ პრიზმაში უნდა უყურონ და, რაც ამისთვის უკეთესია, ის უნდა გააკეთონ. საკუთარ ადგილებზე კი არ უნდა იფიქრონ იქ, სადაც, საბოლოო ჯამში, შეიძლება, საერთოდ ვერ აღმოჩნდნენ, არამედ, იმაზე იფიქრონ, თუ რა არის უმჯობესი, იქნება ეს მაჟორიტარულ სისტემასთან თუ პროპორციულთან დაკავშირებით. ეს არის სწორი ფორმულა.

ის, რომ ვიღაცა ჩქარობს, რაღაცას გამოაცხადებს, მერე ვიღაცა გამოვა და იმ მოჩქარეს გააკრიტიკებს, ჩვენ ეს კინო ბევრჯერ გვაქვს ნანახი. ამის სიმპტომები ჩანს ახლაც. მე, ჩემი მხრივ, შევთავაზე ჩემი ფორმულა, როგორ შეიძლება მოიქცნენ იმისთვის, რომ არ დაჭამონ ერთმანეთი.

შევთავაზე, რომ ყველა პარტიის ლიდერმა პირადად იყაროს კენჭი რომელიმე ოლქში, გარდა თბილისისა. რადგან მათი ცნობადობა შედარებით მაღალია, ეს მათ კონკურენტუნარიანობას მატებს, ყველა პარტიამ მათ დაუჭიროს ამა თუ იმ ოლქში მხარი. სხვა ოლქებში, სადაც ვერ თანხმდებიან, პირველი ტურები ჩაითვალოს პრაიმერიზად და ყველამ კონსოლიდირებულად მხარი დაუჭიროს მეორე ტურში გასულ ოპოზიციურ კანდიდატს. რაც შეეხება თბილისს, ის გაზომვადია და აქ შეთანხმება შესაძლებელია.

მე ეს ფორმულა შევთავაზე ოპოზიციას, გამგონი გაიგონებს, არ უნდათ, სულ კარგად იყვნენ.

– ანუ რეალურად ჯერ არმოგებულ ბრძოლაში გავლენებისთვის იბრძვიან?

– მოუნადირებელი დათვის ტყავს იყოფენ წინასწარ.

როდის მოგვარდება პარკინგის პრობლემა თბილისში

პარკირების პრობლემა დედაქალაქისთვის დღემდე ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად არის ქცეული. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის მერიამ ეს უფლება „სითი პარკს“ ჩამოართვა და ხელშეკრულებაც შეუწყვიტა, ამ მიმართულებით სიტუაცია ფაქტობრივად არ შეცვლილა. რეალურად, ორი წლის განმავლობაში თბილისის მერიის შესაბამისი უწყება იგივე საქმიანობას აგრძელებდა, რასაც მანამდე ახორციელებდა „სითი პარკი“. ფაქტობრივად არ მოწყობილა ახალი საპარკინგე ადგილები და არც იმის შესახებ არის ცნობილი თუ რისი გაკეთება იგეგმება არსებული პრობლემის მოსაგვარებლად.არადა, ამასობაში, გავრცელდა ინფორმაცია, რომ კომპანია „სითი პარკმა“ დავა შეწყვიტა. ერთი მხრივ, მერიასა და დაქირავებულ იურიდიულ კომპანიას, მეორე მხრივ კი, მერიასა „სითი პარკს“ შორის წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად კომპანია „სითი პარკმა“ უკან გაიხმო სასამართლოში წარდგენილი საჩივარი და უარი განაცხადა საარბიტრაჟო დავაზე.

შეთანხმების თანახმად, თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ პარკირების სისტემის მართვიდან მიღებული შემოსავლებიდან კომპანია „სითი პარკს“ გადაუხადა 4 300.000 აშშ დოლარი, რის სანაცვლოდაც მიიღო კომპანია „სითი პარკის“ კუთვნილი მატერიალური აქტივები.

როგორც თბილისის მერი კახა კალაძე აცხადებს, ორი წლის განმავლობაში, რაც ოპერირება „თბილისი პარკინგმა“ დაიწყო, დედაქალაქის მერიამ შემოსავლის სახით, დაახლოებით, 22 მილიონი ლარი მიიღო და სწორედ ამ ფინანსებით მოხდება „სითი პარკისთვის“ თანხის გადახდა.

ოპოზიცია კი ამტკიცებს, რომ „სითი პარკთან“ კონტრაქტის გაწყვეტის შემდეგ თბილისელებისთვის არაფერი გაუმჯობესებულა. ერთადერთი ის შეიცვალა, რომ ამ ბიზნესით უკვე „სითი პარკის“ ნაცვლად კალაძე და მისი გარემოცვა სარგებლობდა.

– კახა კალაძე აცხადებდა, რომ ბიუჯეტს არც ერთი თეთრი არ დაუჯდებოდა ამ კონტრაქტის გაწყვეტა და წინასაარჩევნოდ იძლეოდა ამ დაპირებებს. ახლა აღმოჩნდა, რომ სწორედ ბიუჯეტიდან 12 მილიონ ლარზე მეტი გადაიხადეს „სითი პარკისთვის“. ასევე, თბილისელებისთვის არაფერი გაუმჯობესებულა, როგორც „სითი პარკი“ აჯარიმებდა და გადაჰყავდა საჯარიმოზე, ასე ხდება ახლაც. არ შესრულდა დაპირება, რომ ავტოგასამართი სადგურები მოეწყობოდა, ინფრასტრუქტურაში საერთოდ არანაირი ცვლილება არ ყოფილა, – განაცხადა „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა ირმა ნადირაშვილმა.

თუმცა, მიუხედავად ოპოზიციის კრიტიკისა, კალაძე აცხადებს, რომ ბიუჯეტიდან არც ერთი თეთრის გადახდა არ მოხდება და, ამავდროულად, უახლოეს პერიოდში მერია პარკირების ოპერირების უფლების გაყიდვასაც არ გეგმავს.

– ჩვენ მოვისმინეთ ცრუ განცხადებები, თითქოს ეს თანხები ბიუჯეტიდან წავიდა. ბიუჯეტიდან ერთი თეთრიც არ დახარჯულა. ეს ზუსტად ის თანხები იყო, რომელიც კონკრეტულად იმ კომპანიის ჯიბეში უნდა წასულიყო.

დღეს რომ გავყიდოთ „თბილისის პარკინგი“, შესაძლებელია, 15-20 მლნ მივიღოთ ამ აქტივებიდან, თუმცა ამ ეტაპზე არ ვგეგმავთ გაყიდვას და ვაგრძელებთ მუშაობას. შემოსული თანხები მოხმარდება გამწვანებას, ეკოლოგიის მდგომარეობის გაუმჯობესებას, – განაცხადა კალაძემ.

თუმცა, კალაძეს არ უსაუბრია სამომავლო გეგმებზე და იმაზე თუ როგორ მოხდება პარკინგის პრობლემის მოგვარება თბილისში. სატრანსპორტო კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის თენგიზ რობაქიძის განცხადებით კი პირველ ეტაპზე რაიმე ტიპის ცვლილებები არ იგეგმებოდა და მათ იმ საქმიანობის გაგრძელება დაევალათ რასაც მანამდე „სითი პარკი“ ახორციელებდა.

– 2018 წლის 10 აპრილიდან, თბილისის მერიის გადაწყვეტილებით, თბილისი პარკინგის სისტემის ადმინისტრირება ჩვენს კომპანიას დაევალა. იმ პერიოდისთვის არ იგეგმებოდა რამე ცვლილებები თბილისი პარკინგის ადმინისტრირების სისტემაში; საშვის ღირებულება, ჯარიმის ოდენობა, ეს ყველაფერი რჩებოდა იგივე, ჩვენ უბრალოდ დაგვევალა, რომ მოგვეწყო და განგვევითარებინა ინფრასტრუქტურა. კერძოდ, მას შემდეგ, რაც გადმოვიბარეთ პარკირების უფლება, 26.000 კვ მეტრამდე პარკინგის ადგილი თავიდან დავხაზეთ, გამოცვლილია 12.000-მდე საგზაო ნიშნები და დგარები; ასევე, სერვისის გაუმჯობესების მიზნით, შევქმენით ვებპორტალი და მობილური აპლიკაცია, სადაც მძღოლებს შეუძლიათ საშვის მარტივად შეძენა, ასევე გადაიხადონ და შეამოწმონ ჯარიმა.

თავიდანვე, როდესაც გადმოვიბარეთ „თბილისი პარკინგის“ სისტემა, მაშინვე განვაცხადეთ, რომ მიდგომა გვექნებოდა სხვა. ჩვენი სურვილი არ არის მეტი მძღოლის დაჯარიმება, ჩვენთვის, მთავარია, საპარკინგე სისტემის მოწყობა და სწორედ ამ მიმართულებით ვმუშაობთ, – აცხადებს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი თენგიზ რობაქიძე.

კომერსანტი

თურქეთი საქართველოსთან საზღვრის კვეთის რეჟიმს ამკაცრებს

კორონავირუსის გავრცელების საწინააღმდეგოდ თურქეთი საქართველოსთან საზღვრის კვეთის რეჟიმს ამკაცრებს.

როგორც საქართველოში თურქეთის საკონსულოს განცხადებაშია ნათქვამი, საზღვრის კვეთისას მოქალაქეებს პასპორტის წარდგენა მოუწევთ.

– კორონავირუსის საშიშროების საწინააღმდეგო ღონისძიებების გათვალისწინებით, 26.02.2020 წლის მდგომარეობით, საღამოს 23:30 საათიდან მოყოლებული, დაიწყო პასპორტის კონტროლის წარმოება ტრაილერების მძღოლებისათვის, რომლებიც საქართველოში შესვლას აპირებენ. ამ დროისთვის თურქეთის გავლით საქართველოში შესვლა არ არის ნებადართული მათთვის, რომლებსაც პასპორტის მიხედვით, ბოლო 21 დღის განმავლობაში უფიქსირდებათ ვიზა/მარკები ჩინეთში, ირანში, სამხრეთ კორეასა და იტალიაში ყოფნა. ჩვენ ასევე განვმარტავთ, რომ შეიძლება შეიცვალოს ეს რეგულაციები, რადგან კორონავირუსის ზომებთან დაკავშირებული პროგრამები მუდმივად განახლების პროცესშია, – ნათქვამია საკონსულოს განცხადებაში. ipn

სასამართლომ „ანას ბაღთან“ მშენებლობა დროებით შეაჩერა

თბილისის საქალაქო სასამართლომ საქმის განხილვის დასრულებამდე „ანას ბაღთან“ კორპუსის მშენებლობის შეჩერებაზე განჩინება გამოსცა. ამის შესახებ პირველ არხს ადვოკატმა მუხრან ღურწკაიამ განუცხადა.

ადვოკატის თქმით, სასამართლოში მოქალაქეები მშენებლობის ნებართვის ბათილობას? მოითხოვენ. მისივე თქმით, საქმის განხილვის დასრულებამდე სასამართლოს გადაწყვეტილებით მშენებლობა შეჩერდება.

ადვოკატმა სასამართლოს განჩინება თბილისის მერიაში ჩააბარა.

– მოსამართლე ანა ჩხეტიამ დააკმაყოფილა მოქალაქეთა ეს მოთხოვნა და საქმის განხილვის დასრულებამდე მშენებლობა შეაჩერა. ახლა ჩვენ ვაბარებთ მერიაში ამ განჩინებას და ზედამხედველობის სამსახურმა უნდა შეატყობინოს კომპანიას ამ გადაწყვეტილების შესახებ. ეს არის პირველი გამარჯვება ჩვენი ბრძოლის“, – განაცხადა ადვოკატმა. 1tv.ge

თორნიკე მამალაძე: „დეკანოზი გიორგი მამალაძე პროცესზე საკაცით უნდა მიეყვანათ“

„იუსტიციის სამინისტროს არ სურს, საზოგადოებამ დაინახოს, რა მდგომარეობაშია ჩემი ძმა“

მსჯავრდებული დეკანოზის გიორგი მამალაძის ძმის, თორნიკე მამალაძის განცხადებით, გუშინ, 27 თებერვალს, გასამართი სასამართლო პროცესის შესახებ ძმას თავად შეატყობინა და არა – პენიტენციარულმა დაწესებულებამ. როგორც თორნიკე მამალაძე განმარტავს, ხელისუფლებას არ სურს, მისი ძმის ჯანმრთელობის მდგომარეობა საზოგადოებამ ნახოს.

მისივე განცხადებით, დეკანოზი სასამართლოში საკაცით უნდა მოეყვანათ და სწორედ ამის გასაჯაროებას აარიდა თავი იუსტიციის სამინისტრომ.

– იუსტიციის სამინისტროს, „ქართული ოცნების“ მთავრობას არ სურს საზოგადოებამ დაინახოს, თუ რა მდგომარეობაშია ჩემი ძმა. ამას ადასტურებს არაერთი ექსპერტიზა, ამას ადასტურებენ ციხის ადმინისტრაციის მკურნალი ექიმები, რომლებიც ჩემ ძმას მეთვალყურეობენ.

ოქმებშია ასახული, თუ რამდენად არის პარალიზებული. მათ არ სურთ საზოგადოებამ დაინახოს, თუ რა დღეში ჩააგდეს უდანაშაულო ადამიანი. ჩვენ დაგვიკავშირდა მოსამართლის თანაშემწე და გვითხრა, რომ სასჯელაღსრულებიდან ეტაპირება ვერ მოხდა, მაგრამ ახლა მოსამართლემ გადაწყვეტილება შეცვალა და ჩემს ძმას გადააბრალა.

ეს ტყუილია, ვინაიდან ჩემმა ძმამ გუშინ არ იცოდა, სასამართლო სხდომა რომ ჰქონდა. გუშინ შევედი მასთან და მე ვაცნობე, რომ პროცესი დღეისთვის იყო ჩანიშნული, ის გაკვირვებული დარჩა, რადგან სასჯელაღსრულებამ ეს ინფორმაცია არ მიაწოდა. ჩვენ შევთანხმდით, რომ ის ხელს არ მოაწერდა, რომ მისი პროცესი სურვილისამებრ ჩატარდებოდა მე-18 დაწესებულებაში.

ჩემმა ძმამ მითხრა, რომ ის მიმართავდა შესაბამის დაწესებულებას, რომ მისი ეტაპირება მომხდარიყო, მაგრამ დღეს დაგვირეკეს და გვითხრეს, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ვერ მოხდა მისი ეტაპირება, – განაცხადა მამალაძემ.

მისივე თქმით, მოსამართლე ლილი მსხილაძე საპატრიარქოსთან დაახლოებული პირია და საპატრიარქოს უნივერსიტეტში მუშაობდა. ამასთან, დეკანოზის ძმის განმარტებით, გიორგი მამალაძე ეტლშიც კი ვერ ჯდება.

– ის ეტლშიც ვერ ჯდება, სასჯელაღსრულების ექიმების ოქმებშიც არის აღწერილი, რომ მაქსიმუმ, 9 წუთი ჰყავდათ ეტლში გაჩერებული და შემდეგ გადააწვინეს საკაცეზე, ის საკაცით უნდა მოეყვანათ პროცესზე. რამდენიმე დღის წინ, პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ წინა მთავრობის დროს პატიმრები ჯანმრთელები შედიოდნენ და ინვალიდები გამოდიოდნენ, ჩვენი მთავრობის დროს ასეთი რამე არ ხდება, ამიტომაც მათ სურდათ, რომ ასეთი პრეცედენტი არ მომხდარიყო „ქართული ოცნების“ დროს და ისინი მალავენ, რომ საპყრობილეში ჯანმრთელი შევიდა და ის უკვე ინვალიდი გამოვა, – განაცხადა მამალაძემ.

❖ ❖ ❖

დეკანოზ გიორგი მამალაძის მიმართ სასჯელის გადავადების თაობაზე ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დაწესებულებაში 5 მარტს, 11:00 საათზე იმსჯელებენ.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლილი მსხილაძემ გამოაცხადა.

თორნიკე მამალაძემ მოსამართლეს მონა უწოდა.

– თქვენ არ გსურთ, მედიამ ნახოს, რა დღეში ჩააგდო ხელისუფლებამ ჩემი ძმა. თქვენ მსახურობდით საპატრიარქოში და თქვენ ხართ მონა, – განაცხადა მამალაძემ, რის შემდეგაც მან სხდომათა დარბაზი დატოვა.

აღნიშნული ფაქტი მოსამართლემ შეურაცხყოფად შეაფასა და აღნიშნა, რომ სხდომის საჯაროდ ჩატარების სურვილი ჰქონდა.

– ეს არის შეურაცხყოფა, უპატივცემლობა სასამართლოს მიმართ. ძალიან დიდი სურვილი მქონდა, სხდომა საჯარო ყოფილიყო და ეს შეურაცხყოფა არ მომესმინა. საქმის განხილვა ნაცვლად სასამართლო სხდომის დარბაზისა, ჩატარდება მე-18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში, – განაცხადა მსხილაძემ.

„დედა მძინარე მოკლა, ბებიას კი ფხიზელ მდგომარეობაში დაესხა თავს“

მიხეილ ზაუტაშვილს პატიმრობა შეეფარდა

დედისა და ბებიის მკვლელობის ბრალდებით დაკავებულ 19 წლის მიხეილ ზაუტაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება გუშინ, 27 თებერვალს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გიორგი კერატიშვილმა გამოაცხადა.

სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარე დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე დაკავებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას ითხოვდა. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმა დაცვის მხარეც.

ადვოკატ თამარ გაჩეჩილაძის განცხადებით, დიდი ალბათობით, ბრალდებულს ფსიქიკური პრობლემები აქვს.

მიხეილ ზაუტაშვილის ადვოკატის განმარტებით, დაკავებულს ბავშვობიდან მძიმე პრობლემები ჰქონდა, როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებაში და ის ბულინგის მსხვერპლი არაერთხელ გამხდარა.

– ამ ეტაპზე ის დუმილის უფლებას იყენებს, რაც შეეხება აღკვეთის ღონისძიების საკითხს, ეს იყო ის შემთხვევა, როცა დაცვის მხარე დაეთანხმა ბრალდების მხარის შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას ისევ ბრალდებულის ინტერესებიდან, მისი პირადი უსაფრთხოებიდან გამომდინარე.

უნდა დაინიშნოს ფსიქიატრიული, ფსიქოლოგიური, კომპლექსური ექსპერტიზა მისი ფსიქიკური მდგომარეობის განსაზღვრის მიზნით. მაღალი ალბათობით, მას ფსიქიკური პრობლემები აქვს და, აქედან გამომდინარე, მის ბრალეულობაზე ვერ ვისაუბრებ.

ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს მთელი ბავშვობის განმავლობაში ძალიან მძიმე პრობლემები ჰქონდა, როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებაში, სკოლაში. მან რამდენიმე სკოლა გამოიცვალა სწორედ იმის გამო, რომ იმ სკოლებში ბულინგის შემთხვევები იყო, – განაცხადა გაჩეჩილაძემ.

მიხეილ ზაუტაშვილის საქმის პროკურორის, გიორგი ქობულაძის განცხადებით, ბრალდებულმა მძინარე მდგომარეობაში მხოლოდ დედა მოკლა, ბებიას კი ფხიზელ მდგომარეობაში დაესხა თავს.

როგორც პროკურორი განმარტავს, ამ ეტაპზე ბრალდებულის გამოკითხვის ოქმში აღიარებითი ჩვენებაა, რომელშიც ზაუტაშვილი ფაქტობრივ გარემოებებზე საუბრობს.

– ბრალდებული მისი ადვოკატის თანდასწრებით გამოიკითხა, ის გამოკითხვის ოქმში, რომელიც საქმეში მოიპოვება, ფაქტობრივ გარემოებებს აღიარებს, ჰყვება როგორ ჩაიდინა აღნიშნული სავარაუდო დანაშაული. უფრო დეტალურად ჯობს, დაცვის მხარემ ისაუბროს. ამ ეტაპზე ბრალდებულის აღიარებითი ჩვენება არის, თუმცა, ბრალდებულს ნებისმიერ დროს შეუძლია თავისი პოზიცია შეცვალოს.

თავიდან, როცა ბრალდებული შევიდა, ორივე მძინარე მდგომარეობაში იყო, როცა დედას მიაყენა დაზიანებები, ამ დროს გაეღვიძა ბებიას და შემდეგ ხდება გაღვიძებულ ქალბატონზე თავდასხმა ნაჯახის გამოყენებით, – აღნიშნა ქობულაძემ.

მისივე განმარტებით, საქმეში არაერთი მტკიცებულება არსებობს, მათ შორის, დანაშაულის ჩადენის იარაღი – ნაჯახი.

– საქმეში მოიპოვება შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ამოღებული მტკიცებულებები, მათ შორის, დანაშაულის ჩადენის იარაღი, ეს არის ნაჯახი, ასევე სისხლის კვალი და სხვა უამრავი მტკიცებულება. ასევე ბრალდებულის ტანსაცმელი, რომელიც ასევე სისხლიანი იყო და სამართალდამცავების გამოკითხვის ოქმები, რომლებიც პირველები მივიდნენ შემთხვევის ადგილზე.

ამ ეტაპზე მოტივზე მხოლოდ ბრალდებულის გამოკითხვის ოქმიდან შემიძლია მოგახსენოთ. ბრალდებული ახსენებს წარსულში არსებულ მცირე გაუგებრობებს ოჯახის წევრებს შორის, სიტყვიერ შელაპარაკებებს, ფიზიკურ დაპირისპირებაზე არ საუბრობს, – განაცხადა პროკურორმა ქობულაძემ.

სუსის უფროსი ისრაელის სახელმწიფოს ელჩს შეხვდა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა გრიგოლ ლილუაშვილმა საქართველოში ისრაელის სახელმწიფოს ახალდანიშნულ ელჩ რან გიდორთან შეხვედრა გამართა.

მხარეებმა მსოფლიოსა და რეგიონში უსაფრთხოების კუთხით არსებული ვითარება მიმოიხილეს. შეხვედრაზე ხაზი გაესვა საქართველოსა და ისრაელის სახელმწიფოს შორის მეგობრულ ურთიერთობებს და შესაბამის უწყებებს შორის უსაფრთხოების სფეროში არსებული თანამშრომლობის მნიშვნელობას.

გრიგოლ ლილუაშვილმა და რან გიდორმა ორი ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ ისაუბრეს და სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები დასახეს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა რან გიდორს ელჩად დანიშვნა მიულოცა და წარმატებები უსურვა.

ლევან იოსელიანი ბესიკ თამლიანის ადვოკატი გახდა

27 თებერვლიდან ბესიკ თამლიანის ინტერესებს „სამოქალაქო მოძრაობის“ ლიდერი, ადვოკატი ლევან იოსელიანი დაიცავს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ „სამოქალაქო მოძრაობის“ პრესსამსახურიდან აცნობეს.

– დღეს შევუდექი ბესიკ თამლიანის საქმის დაცვის განხორციელებას. ბესიკის თამლიანი რჩება 20 ივნისის დაკავებულ 19 პირიდან ერთადერთ პატიმრად, რომელიც მის მიმართ წარდგენილ ბრალდებას არ აღიარებს. ამ საქმეს სამართლებრივი ნაწილის გარდა, მორალური მხარე აქვს, რაც გულისხმობს, რომ ადამიანი, რომელიც გულწრფელად აპროტესტებდა გავრილოვის ჩამოყვანას, დღეს ციხეში ზის.

დღევანდელ სასამართლო სხდომაზე იმ ბრალდებულების საქმე, რომელთანაც საპროცესო შეთანხმებაზე მუშაობა მიმდინარეობს, ბესიკ თამლიანის საქმეს გამოეყო. საქმის მასალების გასაცნობად ვადა ვითხოვე, რომლის რაოდენობა 9 ტომია, – აცხადებს ადვოკატი.

ბესიკ თამლიანის საქმეზე შემდეგი სასამართლო სხდომა 6 მარტს, 13:00 საათზე გაიმართება.

ჯონი ივანიშვილმა საპატიმრო დატოვა

რუსთავის მე-6 პენიტენციარული დაწესებულების დირექტორის მოადგილე ჯონი ივანიშვილმა 6 წლისა და 9 თვის შემდეგ საპატიმრო დატოვა.

ივანიშვილი სასჯელს პატიმართა წამებისა და არაადამიანური მოპყრობისთვის იხდიდა.

ივანიშვილი 2013 წელს დააკავეს. გამოძიებით დადგინდა, რომ მან და ციხის დირექტორმა ვლადიმერ კაპანაძემ შეიმუშავეს მსჯავრდებულთა მიმართ მოპყრობის არაკანონიერი მეთოდები და პატიმრებს აწამებდნენ და აშინებდნენ.

მათი უშუალო ორგანიზებითა და მონაწილეობით ეწყობოდა „კორიდორები“, სადაც მსჯავრდებულს ატარებდნენ და ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ. ვლადიმერ კაპანაძეს 8-წლიანი პატიმრობა აქვს მისჯილი.

ფოთში მოპედი მანქანას დაეჯახა

მოპედის მძღოლი მძიმე მდგომარეობაშია

ფოთში, რვა მარტის ხიდთან მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ერთი პირი დაშავდა.

ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც მოპედით მოძრაობდა, მსუბუქ ავტომობილს შეეჯახა. მომხდარის შედეგად დაშავდა მოპედის მძღოლი. ის სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადამ ქალაქის ჰოსპიტალში გადაიყვანა.

ექიმების ინფორმაციით, მისი მდგომარეობა მძიმეა.

– პაციენტს აღენიშნება ქალა-ტვინის დახურული ტრავმა. მისი მდგომარეობა მძიმეა, – აცხადებენ ფოთის სასწრაფო დახმარების სამსახურში.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის დაზიანება.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

იაპონიაში სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები მარტის ბოლომდე დაიკეტება

იაპონიის პრემიერ-მინისტრ შინზო აბეს განცხადებით, დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები ორშაბათიდან მარტის ბოლომდე დაიხურება.

აღნიშნული გადაწყვეტილება მთავრობამ კორონავირუსის გავრცელების საფრთხის გამო მიიღო.

იაპონიაში კორონავირუსით 800-ზე მეტი პირი დაინფიცირდა. მათ შორის 700 ადამიანი საკრუიზო გემ დაიამონდ პრინცესის მგზავრია.

იტალიაში კორონავირუსის 100 ახალი შემთხვევა გამოვლინდა და დაინფიცირებულთა საერთო რაოდენობამ 400-ს გადააჭარბა.

ბოლო მონაცემებით, ქვეყანაში კორონავირუსით 12 ადამიანია დაღუპული.

ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ლომბარდიისა და ვენეტოს რეგიონებში დახურულია საბავშვო ბაღები, სკოლები, უნივერსიტეტები, კინოთეატრები და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილები.

კარანტინში რჩება აღნიშნული რეგიონების 11 ქალაქის 55.000-მდე მცხოვრები.

საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი პარიზის იმ საავადმყოფოს ეწვია, სადაც კორონავირუსით ინფიცირებული პირი გარდაიცვალა.

ექიმებთან საუბრისას მაკრონმა აღნიშნა, რომ ქვეყანა კრიზისისა და ეპიდემიის საფრთხის წინაშეა.

– ჩვენ კრიზისის წინაშე ვართ, ეპიდემია ახლოვდება, – განაცხადა მაკრონმა.

პრეზიდენტმა ასევე მადლობა გადაუხადა ექიმებს და აღნიშნა, რომ მათი მუშაობით გულაჩუყებულია.

– მე თქვენი იმედი მაქვს და თქვენ ჩემი იმედი გქონდეთ, რომ ერთად ვიმუშავებთ და პასუხს გავცემთ გამოწვევას, – აღნიშნა მაკრონმა.

კორონავირუსის პირველი შემთხვევები დადასტურდა ესტონეთსა და დანიაში. ესტონეთში ვირუსი დაუდგინდა მამაკაცს, რომელიც ირანში იმყოფებოდა. დანიაში კი ვირუსი იტალიის ლომბარდიის რეგიონიდან ჩასულ პირს აღენიშნა.

ინფიცირებულთა რაოდენობა გაიზარდა ერაყში. ვირუსი ამჯერად დედაქალაქ ბაღდადში 1 პირს აღმოაჩნდა. ამ დროისთვის ქვეყანაში დაინფიცირებულთა რაოდენობა 6-მდე გაიზარდა.

აშშ-ში სასმელების კომპანიაში 5 კაცი მოკლეს

თავდამსხმელმა თავი მოიკლა

აშშ-ის ქალაქ მილუოკიში, სასმელების კომპანია „მოლსონ კორსის“ შენობაში, შეიარაღებული პირი შეიჭრა და სროლა ატეხა.

დაღუპულია კომპანიის ხუთი თანამშრომელი და დაჭრილია რამდენიმე.

გამოცემის ცნობით, დაღუპულია 51 წლის თავდამსხმელიც, რომელიც იმავე ქალაქის მკვიდრია. მან ჭრილობა საკუთარი ცეცხლსასროლი იარაღით მიიყენა.

კომპლექსი, სადაც ინციდენტი მოხდა, ლუდის ორ ქარხანასა და კორპორატიულ ოფისებს აერთიანებს.

მომხდარზე კომენტარი აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმაც გააკეთა. მან თავდამსხმელს „ბოროტი მკვლელი“ უწოდა და დაღუპულთა ოჯახებს მიუსამძიმრა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მეგან მარკლს დედოფლისა და ბრიტანელების შეურაცხყოფა დასდეს ბრალად

მეგან მარკლის მამამ საკუთარი შვილი დედოფალ ელისაბედ II-ისა და ბრიტანელი ხალხის შეურაცხყოფაში დაადანაშაულა.

75 წლის ტომას მარკლმა, მექსიკაში მცხოვრებმა ამერიკელმა, სასექსის ჰერცოგინია მეგან მარკლისა და მისი მეუღლის პრინც ჰარის განცხადება გააკრიტიკა, რომელიც მათ სამეფო სავაჭრო მარკის გამოყენების აკრძალვის შემდეგ გააკეთეს.

– მეგანი და ჰარი ჩემში დიდ აღშფოთებას იწვევენ, – განმარტა მან, – ჩემი აზრით, მათ სიტყვა „სამეფოს“ გამოყენების უფლება არ აქვთ.

– ვფიქრობ, მათ დედოფალთან ასე საუბრის უფლება არ ჰქონდათ, – დაამატა ტომას მარკლმა, – ჩემი აზრით, ეს დედოფლისა და ბრიტანელების შეურაცხყოფაა.

მისი თქმით, მეგანმა ჯერ მასთან გაწყვიტა ურთიერთობა, შემდეგ – სხვა ნათესავებთან, ახლა კი ურთიერთობას თავის ბრიტანულ ოჯახთანაც წყვეტს.

გიორგი კეკელიძე კორონავირუსის სახელმძღვანელოს გვთავაზობს

ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი გიორგი კეკელიძე კორონავირუსის სახელმძღვანელოს გვთავაზობს:

– კაცობრიობას ამ ვირუსზე უარესი დაავადებები დაუმარცხებია – თანაგანცდითა და შრომით. და ეს ყალბი სიტყვები არ არის, დადასტურებული გამოცდილებაა – არაფერია შიშზე და სიძულვილზე უფრო სასტიკი ავადმყოფობა, მათზე უფრო ძნელად დასამორჩილებელი და დასაძლევი.

ამიტომაც დღეიდან მარტივი ფორმულის მოხმობა გვჭირდება – რა თქმა უნდა, პირბადეები, მაგრამ ღიმილი, რომელიც პირბადიდანაც გამოაღწევს და ერთმანეთს გადავდებთ.

ადამიანი ამ ომსაც მოიგებს. აგერ მე და აგერ კორონავირუსი.

1. კორონავირუსის შემოსვლა ჩვენს ქვეყანაში გარდაუვალი იყო. ალბათ გუშინდლამდეც შემოეხეტა რომელიმე საზღვრიდან და მეტიც – მსუბუქი გაციების ფორმით, შესაძლოა, გადავიტანეთ მეც, შენც და სხვამაც. თავის დროზე ასე „ვუმასპინძლეთ“ ე.წ. ღორის გრიპს და სხვა უარეს ვირუსულ დაავადებებს. შესაბამისად, აპოკალიფსი არ იქნება. ახლაც და მერეც, როცა კორონავირუსი წავა.

2. მაგრამ აპოკალიფსი არ იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ ამ გრიპზე იოლად უფრო სხვა რამ ღუპავს ადამიანს. ამჯერად უკვე მეტაფორებით როდი გელაპარაკებით – სიძულვილზე და შიშზე. არა, ძალიან კონკრეტულ საქმეზე მოგახსენებთ. ნუ დაცლით მაღაზიებს საკვები პროდუქტებისგან და აფთიაქებს წამლებისგან, ნუ გავხდებით ადამიანი-აქლემები. პური და კუჭის წამალი მაინც დავტოვოთ. კუჭის წამალი გრიპს ვერ შველის. და გაითვალისწინეთ, რომ შიმშილიც კლავს. და თუ გრიპიანი არ მივდივართ სამსახურში სხვების მოსაფრთხილებლად, ნურც ასე გამოვაცლით ლუკმას და პარაცეტამოლს მას, ვისაც მხოლოდ მათი ყიდვა შეუძლია, ახლაც და მერეც, როცა კორონავირუსი წავა.

3. კი. ხელი დავიბანოთ. ახლაც და მერეც, როცა კორონავირუსი წავა.

4. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს განსაკუთრებით მოერიდეთ ადამიანები, რომელთა ასაკიც 70 წელს ზემოთაა და თანაც გულსისხლძარღვთა დაავადების მქონეები ან დიაბეტის მატარებლები ხართ. მოერიდეთ, მაგრამ თავს ნუ გაირიყავთ. ახლაც და მერეც, როცა კორონავირუსი წავა.

5. თუ ვინმეს ქუჩაში პირბადით დაინახავთ და ამ დროს ღია ფანჯრიდან რომ ტელევიზორი მოჩანს, იქ ჩაკ ნორისმა ჩაახველა, არ გაიქცეთ. ახლაც და მერეც, როცა კორონავირუსი წავა.

6. ნუ გადაკოცნით დიდი ვნებით ყველას, მაგალითად, ადამიანს, რომელიც პირველად ნახეთ და თქვენი თანაკლასელის თანაკლასელი აღმოჩნდა – სხვა ქალაქში როცა გადავიდა და იქ სწავლობდა. ახლაც და მერეც, როცა კორონავირუსი წავა.

7. ყველა ავტორიტეტული ორგანიზაციის კვლევის მიხედვით, კორონავირუსის შტამი, სხვა აქამდე ნაცნობ გამოვლენებთან შედარებით, რომელთაგან უმეტესი ახლაც გვემართება, ნაკლებად იწვევს სიკვდილს. შესაბამისად, მთავარი პრობლემა კორონას ვაქცინის დამზადებაა, რაც დროის საკითხია და მოთმინების. პანიკა არ ვარგა. ახლაც და მერეც, როცა კორონავირუსი წავა.

8. ნუ გამოიყენებთ ფრაზას „რას ამბობ, სხვაგანაც ასე ხდება“. ახლაც და მერეც, როცა კორონავირუსი წავა.

9. ვიკითხოთ წიგნები, ვიშრომოთ, ვისწავლოთ, გავითვალისწინოთ ერთმანეთი, ვიყოთ თავისუფლები. ახლაც და მერეც, როცა კორონავირუსი წავა.

თქვენი გიორგი კეკელიძე – ახლაც და მერეც, როცა კორონავირუსი წავა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქალს გულმავიწყობამ 50,000 დოლარი მოუტანა

ამერიკის მერილენდის შტატის ჩარლზის ოლქის მცხოვრებმა ლატარიაში სოლიდური თანხა საკუთარი გულმავიწყობის წყალობით მოიგო.

47 წლის ლარონ ბელ-პოტსის თქმით, იმ დღეს შვილიშვილმა სადილად სპაგეტის მომზადება სთხოვა. ის საჭირო ინგრედიენტების შესაძენად ადგილობრივ მაღაზიაში წავიდა, სახლში მიმავალმა კი გზაში აღმოაჩინა, რომ პურის ჩხირების ყიდვა დაავიწყდა. ქალი მაღაზიაში დაბრუნდა და საჭირო პროდუქტთან ერთად მომენტალური ლატარიის ბილეთიც შეიძინა. პირველ ცდაზე მისმა მოგებამ 15 დოლარი შეადგინა, ხოლო მეორე ბილეთმა 10 დოლარი მოაგებინა.

მაშინ ბელ-პოტსმა გადაწყვიტა, მესამედაც ეცადა ბედი და შედეგად მისმა მოგებამ 50 ათასი დოლარი შეადგინა. ქალმა გადაწყვიტა, რომ მოგებული თანხით ვალები გაისტუმროს და მეუღლესთან ერთად სამოგზაუროდ წავიდეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მალამო „მენტორი პირველი“

ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.

მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ბუნებრივი, საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: (გარქოვანება) ფეხის ქუსლების ნახეთქების, ბუასილის კვანძების სამკურნალოდ. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში; აწყნარებს, ხსნის დაჭიმულობას, ტკივილს, სიმძიმეს, წვას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში. ☎ **599-73-48-21; 598-73-48-21.**

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით ნეგატიური და ნერვული სტრესებით გამოწვეულ პრობლემებს: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, დეპრესიას, ძილში შფოთს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ოჯახურ პრობლემებს. ნუ დაელოდებით, თქვენ გარშემო მყოფი თავს როდის მოიკლავს ან ჩამოუყალიბდება შიზოფრენია. ჩვენ ხომ მისი გადარჩენა შეგვიძლია. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი №777. ტელ: 599-49-84-23, ნანა ქიბროწაშვილი, ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი.

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ: 599-294-293.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერება. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართანებისმიერიპრობლემისმოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ბექჰემს მესი და რონალდუ სურს

მაიამის ინტერის მფლობელ დევიდ ბექჰემის განცხადებით, შესანიშნავი იქნება, თუ მისი კლუბი კრიშტიანუ რონალდუსა და ლიონელ მესის გადაიბირებს. ამ თემაზე ბექჰემმა ამერიკულ მედიასთან ისაუბრა. მადრიდის რეალისა და მანჩესტერ იუნაიტედის ყოფილი ნახევარმცველის თქმით, ახალი ფეხბურთელის შეძენისას უმთავრესია, ახალწვეული გუნდს კარგად მოერგოს.

დევიდ ბექჰემი:

– ჩვენ ბევრ სხვადასხვა სტილის ფეხბურთელთან ვაწარმოებდით მოლაპარაკებას. ცხადია, როგორც კლუბის მფლობელს, მსურს, გუნდში საუკეთესო ფეხბურთელები მყავდეს და, თუ ჩვენ რონალდუს ან მესის დამატების შესაძლებლობა გვექნება, აღტაცებული დავრჩები. ახლა ჩვენს გუნდში შესანიშნავი შემადგენლობაა, გვყავს როგორც გამოცდილი, ასევე ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომლებიც თამაშისთვის მზად არიან.

ერთ-ერთი, რაც სერ ალექს ფერგიუსონისგან ვისწავლე, ის იყო, რომ ნებისმიერი მოთამაშე, ვინც არ უნდა იყოს, გუნდს უნდა მოერგოს და, შესაბამისად, თითოეული ახალწვეული სწორად უნდა შევარჩიოთ. შესაძლოა, ის არ იყოს ცნობილი და ავტორიტეტული ფეხბურთელი, მაგრამ გუნდს კარგად შეეწყოს.

ეს არის ის, რის გაკეთებაც გვსურს, მაგრამ, როგორც კლუბის მფლობელს, მსურს, გუნდში მესისა და რონალდუს დონის ფეხბურთელები მივიწვიო. ეს დიდებული იქნება.

ინფორმაცია მლს-ის ინტერში შესაძლო გადასვლასთან დაკავშირებით რამდენიმე ფეხბურთელზე გავრცელდა. მათ შორის იყვნენ მანჩესტერ სიტის ნახევარმცველი დავიდ სილვა, პსჟ-ს ფორვარდი ედინსონ კავანი და რეალის ნახევარმცველი ლუკა მოდრიჩი.

კოსოვოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი დააპატიმრეს

კოსოვოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი აგილ ადემი დააპატიმრეს. ადემის ქვეყნის დედაქალაქ პრიშტინას სასამართლომ მას 9-თვიანი პატიმრობა მიუსაჯა.

მიზეზი? 2012 წელს ადემი მეგობარ მუჰამარ რამასთან ერთად ერთ-ერთ ბიზნესმენს აიძულებდა, 30.000 ევროს ოდენობის ქრთამი აეღო ან შეეძინა მანქანა. სანაცვლოდ კი ადემმ და რამამ ამ ბიზნესმენს შესთავაზეს ყალბი დოკუმენტების დამზადება. ბიზნესმენმა ეს ყველაფერი პოლიციაში განაცხადა.

ადემი, რომელიც 2018 წლის ივლისში გახდა კოსოვოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ამ თემაზე კომენტარს არ აკეთებს.

კოსოვოც, საქართველოს მსგავსად, ევრო-2020-ზე გასასვლელად იბრძვის. 26 მარტს საქართველო-ბელარუსს უმასპინძლებს, ხოლო კოსოვოელები სტუმრად ჩრდილოეთ მაკედონიას შეხვდებიან. მერე კი, იქნებ, ერთმანეთსაც გადაეყარონ.

რუსეთთან აღრე ვიწყებთ, მიზეზი განათებაა

საქართველოს ეროვნული ნაკრები რაგბი ევროპის ჩემპიონატის 2020 წლის ფინალურ მატჩში რუსეთს უმასპინძლებს. 14 მარტს დაგეგმილი თამაში მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე 18:00 საათზე უნდა დაწყებულიყო, თუმცა, როგორც საქართველოს რაგბის კავშირი იუწყება, შეხვედრა სტარტს 16:00 საათზე აიღებს.

როგორც ირკვევა, მატჩის დაწყების დროის ცვლილება სტადიონის განათების სისტემის ტექნიკურმა გაუმართაობამ გამოიწვია. როგორც ირკვევა, არსებობდა რისკი, რომ თამაშის მსვლელობისას სტადიონის განათება მწყობრიდან გამოსულიყო.

შეგახსენებთ, რომ რაგბი ევროპის ჩემპიონატის მიმდინარე გათამაშების 3 ტურის თავზე „ბორჯღალოსნები“ 14 ქულით პირველ ადგილზე იმყოფებიან, რუსები კი 4 ქულით ბოლო პოზიციაზე რჩებიან.

სამგლოვიარო განცხადებები

გივი ჭყოიძის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მათი უახლოესი მეზობელი და მეგობარი, ქეიფისა და დროსტარების მოყვარული, უბნის ნაღდი კოლორიტი

ირაკლი გოგოჭური

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გურამ კვიკვინია, ვალერი იოსავა, ბადრი ლომაია, არჩილ შამუგია, ალექსანდრე არჩაია, ხვიჩა შონია თანაგრძნობას ვუცხადებთ დემურ ბუკიას ძმის, ბატონი

კოკი ბუკიას

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

გვარდიოლამ ზიდანს მოუგო, იუვემ ლიონში წაიფორხილა

ჰეაღი-სიტი 1:2

მადრიდი. სანტიაგო ბერნაბეუ

1:0 ისკო (60), 1:1 ჟეზუსი (78), 1:2 დე ბრუინი (83პ)

რეალი: კურტუა, კარვახალი, რამოსი, ვარანი, ფ.მენდი, მოდრიჩი (ლუკას ვასკესი 84), კაზემირო, ვალვერდე, ისკო (იოვიჩი 84), ბენზემა, ვინისიუსი (ბეილი 75)

სიტი: ედერსონი, უოკერი, ოტამენდი, ლაპორტი (ფერნანდინიო 33), ბ.მენდი, გუნდოგანი, როდრი, დე ბრუინი, მარეზი, ჟეზუში, ბ.სილვა (სტერლინგი 73)

გაძევება: რამოსი (86)

ამ წყვილის პირველმა მატჩმა გულშემატკივრებს იმედები არ გაუცრუა. სიამოვნება ალბათ ყველამ მიიღო, ცხადია, წაგებული გუნდის გარდა.

უბრალო ფეხბურთის გულშემატკივრისთვის პირველი ტაიმი მეტ-ნაკლებად მოსაწყენი გამოვიდა. სამაგიეროდ, ეს ტაქტიკური დაზვერვა მე-2 ტაიმისთვის გამოდგა საჭირო. დიდი ხნის განმავლობაში თამაშს რეალი აკონტროლებდა, თუ მეტოქე მაინც ჩაიგდებდა ბურთს, მკაცრი პრესინგით აწუხებდა და სიტის აიძულებდა, შეტევები გრძელი პასებით დაეწყო, რაც მანჩესტერელთა სტილი არ არის. სხვა საქმეა, რომ რეალმა ამით დივიდენდები ვერ მიიღო და პირველი ტაიმიც უგოლოდ დასრულდა.

მე-2 ტაიმი მანჩესტერელთა შეტევებით დაიწყო. კურტუამ რამდენიმეჯერ იხსნა მადრიდელთა კარი. თუმცა, პეპ გვარდიოლას გუნდი მაინც მდევრის როლში აღმოჩნდა – მადრიდელთა მკაცრ პრესინგსა და მანჩესტერელთა დაცვის კოლექტიურ შეცდომას ისკოს გოლი მოჰყვა.

დარჩენილ დროში კი მოედანზე სხვა რეალი და სიტი იდგა. ინგლისურმა გუნდმა აშკარად დაჩაგრა მეტოქე. კარგად შევიდა შეცვლაზე რაჰიმ სტერლინგი, რომელმაც ორივე გოლში აქტიური მონაწილეობა მიიღო.

რეალის უბედობას ისიც დაემატა, რომ ბოლო იმედის ჯარიმით მოედნიდან სერხიო რამოსი გააძევეს და საშინაო მარცხმა რეალი ურთულეს მდგომარეობაში ჩაადგო...

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – გაბრიელ ჟეზუსი.

მატჩის დიდი ნაწილი ისე ჩანდა, რომ საუკეთესო მადრიდელთა მეკარე ტიბო კურტუა უნდა გამხდარიყო, მაგრამ დასკვნითი ნაწილი ისე ჩაატარა, რომ ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა. ჟეზუსმა ჯერ გამთანაბრებელი გოლი გიიტანა, შემდეგ მოედნიდან რამოსი გააძევებინა. ასევე შეიძლებოდა დე ბრუინის გამოყოფაც.

ლიონი-იუვენტუსი 1:0

ლიონი. გრუპამა

1:0 ტუსარი (31)

ლიონი: ლოპეში, დენაიერი, მარსელო, მარსალი, დიუბუა (ტეტე 78), ბრუნო, ტუსარი, აუარი, კორნე (ი.ანდერსენი 81), ტოკო-ეკამბი (ტერიე 66), დემბელე

იუვენტუსი: შჩესნი, დანილო, ბონუჩი, დე ლიხტი, ალეკს სანდრო, ბენტანკური, პიანიჩი (რემზი 62), რაბიო (ბერნარდესკი 78), კუადრადო (იგუაინი 70), დიბალა, რონალდო

იტალიური ფეხბურთის ლიდერმა მიმდინარე ფლეი ოფი არცთუ დამაჯერებლად დაიწყო. მართალია, 0:1 მარცხი დრამა არ არის, მაგრამ გუნდის თამაში ვერ ტოვებს სახარბიელო შთაბეჭდილებას. გამოჩნდა პრობლემები. ეს, პირველ რიგში, ახალ, ცოცხალ იდეებს ეხება. მართალია, ტურინელები მე-2 ტაიმში მეტს უტევდნენ, მაგრამ ერთფეროვნად და ლიონს ვერც ვერაფერი დააკლეს.

პირველ ტაიმში კი პირიქით იყო – ლიონი უტევდა და რამდენიმე მომენტიც შექმნა, რომელთაგან ერთი გოლად აქცია. ეს კი საკმარისი აღმოჩნდა გასამარჯვებლად. მოკლედ, ფრანგულმა გუნდმა დამსახურებულად მოიგო...

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ლუკა ტუსარი.

ძალიან დიდი სამუშაო შეასრულა ფრანგმა ფეხბურთელმა. ასწრებდა ყველგან – შეტევაშიც, დაცვაშიც. გამარჯვების გოლიც მის ანგარიშზეა...

ვერნერმა მანჩესტერი და ბარსელონა უარით გაისტუმრა

ბრიტანული მედიის ცნობით, ტიმო ვერნერის გადაბირებისთვის ბრძოლაში მანჩესტერ იუნაიტედი და ბარსელონა ჩაერთვნენ, მაგრამ გერმანელი ფორვარდისთვის პრიორიტეტული ლივერპულია.

მას შემდეგ, რაც იუნაიტედის სურვილი ერლინგ ჰოლანდის ტრანსფერზე რეალობად ვერ იქცა და ნორვეგიელმა კარიერა დორტმუნდში გააგრძელა, „წითელი ეშმაკების“ მთავარი მწვრთნელ ოლე გუნარ სოლსკიაერისთვის უპირველესი სამიზნე ლაიფციგის ფორვარდია. ნორვეგიელ სპეციალისტს გუნდის ლიდერად ვერნერი ესახება.

კატალონიაში ლუის სუარესის შემცვლელზე ფიქრობენ, თუმცა არა დროებითზე, არამედ თავდამსხმელზე, რომელიც ურუგვაელის ადგილს რამდენიმე სეზონი დაიკავებს.

როგორც ირკვევა, ფეხბურთელმა იუნაიტედსაც და ბარსელონასაც უარით უპასუხა, რადგან ამ ეტაპზე მხოლოდ მერსისაიდულ კლუბში გადასვლაზე ფიქრობს.

ბრიტანული მედიის ცნობით, ტიმო ვერნერის გამოსასყიდი თანხა 51 მილიონი გირვანქა სტერლინგია. გერმანიის ეროვნული გუნდის ფეხბურთელსა და ლივერპულს შორის შეთანხმების მიღწევა აპრილამდეა მოსალოდნელი.

ლივერპულიდან შერდან შაჩირისა და ადამ ლალანას წასვლა თითქმის გადაწყვეტილია, რაც ვერნერის ინგლისურ კლუბში გადასვლას კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის.

ჩემპიონთა ლიგაზე ტოტენჰემთან მატჩის შემდეგ **ვერნერმა** ჟურნალისტებთან ისაუბრა:

– ლივერპულში მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელი იურგენ კლოპი მუშაობს. ბევრი ფაქტორი არსებობს, რატომაც შესაძლებელია, რომ ჩემი სტილის თავდამსხმელი ლივერპულს კარგად მოერგოს, მაგრამ ახლა ამ თემაზე არ ვფიქრობ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. კვირის ესა თუ ის დღე, რომელიც სტუმრების მისაღებად ჰქონდათ დანიშნული ძველად; 2. შთამომავლობის თითოეული საფეხური; 3. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 4. მდინარე სამეგრელოში; 7. შოტლანდიელ მამაკაცთა კაბა; 9. ძაფზე ასხმული სამკაული; 12. ჩქარტემპიანი პოლონური ხალხური ცეკვა; 14. პატარა სამგზავრო-სატვირთო ავტომობილი; 15. აშშ-ის ელჩი საქართველოში; 17. შრი-ლანკის დედაქალაქი; 20. მცენარეთა სამყარო.

თარაზულად: 5. წითელი ფერის მშრალი ქართული სამარკო ღვინო; 6. კინოსა და თეატრის ქართველი მსახიობი მამაკაცი; 8. პირველი ქართველი მფრინავი; 10. კათოლიკური ეკლესიის ცენტრი; 11. კათოლიკე მღვდელი პოლონეთში; 13. პოპულარული ტყე-პარკი ვენაში; 16. მჭევრმეტყველების თეორია; 18. ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 19. პროფესიონალი მონადირე; 21. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 22. უმაღლესი ტექნიკური განათლების მქონე სპეციალისტი; 23. მაღალხარისხოვანი ყავის ერთ-ერთი ჯიში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 2. აჯამეთი; 3. ნეისმიტი; 4. ალიგატორი; 5. კომლი; 6. ესკიმო; 8. ჩაროზი; 11. ბალზამი; 14. იმპერატივი; 15. ვესტერნი; 16. ობლიგაცია; 17. ტანძია; 19. პენალტი; 21. კოლიო; 22. ფხოვი.

თარაზულად: 1. მაგნოლია; 5. კაფე; 7. ლაჩარი; 9. კაპიტოლიუმი; 10. კაბერნე; 12. ამილაზა; 13. დიონისე; 16. ოსმალეთი; 17. ტუში; 18. ოპერა; 20. პარაზიტი; 22. ფერმი; 23. ჩამპინო; 24. ციროზი; 25. იგავი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პოტენცია; 2. ჰერში; 3. სტიუარდი; 4. დიზელი; 7. თრუსო; 9. ემალი; 12. არითმეტიკა; 14. ქოჩარი; 15. ანაკლია; 17. მანიანი; 20. იტილი.

თარაზულად: 5. ფოლკნერი; 6. ვატმანი; 8. შუშპარი; 10. ვესტერნი; 11. აილამა; 13. ფრიზერი; 16. ციცერონი; 18. პალმა; 19. განდი; 21. სტურუა; 22. ფიტომალი; 23. ბურნაკუ.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

28 თებერვალი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8042

ევრო — 3.0686

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6110

100 რუსული რუბლი — 4.2578

ამინდის პროგნოზი 28 თებერვლისთვის

28 თებერვლიდან

დიმიტრი შველიძე

ქართველთა ლაშქრობა სპარსეთსა და ხორასანში

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ნათია ფანჯიკიძე კორონავირუსზე ფიქრს არ გვირჩევს

ფსიქოლოგი ნათია ფანჯიკიძე კორონავირუსზე ფიქრს არ გვირჩევს, რადგან სიკვდილის მრავალნაირი მიზეზი არსებობს:

– კორონავირუსის გარდა, სიკვდილის იმდენნაირი, სერიოზული და სულელური, გემოვნებიანი თუ უგემოვნო მიზეზი არსებობს, თითოეულზე წინასწარ წამის მეათედი რომ იღელვო, კვირის ბოლოს გადაღლილობით მოკვდები.

და თუ თქვენსას არ იშლით და უკვე არჩევანი გავაკეთეთ და მაინცდამაინც კორონავირუსით უნდა დავიხოცოთ, მით უმეტეს სად გვცალია ნერვიულობისთვის. ჩემი წინადადებაა, სანამ დავხოცილვართ, კარგი დრო ვატაროთ, მაგალითად, ახალი წელი გავიმეოროთ, გოზინაყი გავაკეთოთ, აღდგომა ვიზეიმოთ წინასწარ, ბოლოს და ბოლოს.

ლაშა ღლონტის რჩევები ახალ ვირუსზე

მომღერალი ლაშა ღლონტი პროფესიით ექიმია. იგი მსოფლიოში გავრცელებულ კორონავირუსთან დაკავშირებით სასარგებლო რჩევებს გვაძლევს:

1. კორონავირუსით სპეკულირება მსოფლიო მასშტაბის აფერაა, რაც ეკონომიკური ომების შედეგია. გვახსოვს ალბათ ქათმის, ღორის გრიპები, ებოლა და ა.შ.!

2. იგი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ვირუსია.

3. რაც შეეხება სიკვდილიანობას, იგი გაცილებით დაბალია, ვიდრე სხვა ვირუსით დაავადების შემთხვევაში.

4. მკურნალობა მაღალეფექტურია.

5. დაავადება იშვიათია ბავშვებში.

6. გარდაცვლილთა უმეტესობა 70 წელს გადაცილებული მოსახლეობაა.

7. სხვა სახის გრიპით გარდაცვლილთა რაოდენობა 50-ჯერ აღემატება კორონავირუსით გარდაცვლილთა შემთხვევებს, 50-ჯერ!

ანუ თუ კორონათი მსოფლიო მასშტაბით 2 თვეში 3000 ადამიანი დაიღუპა, ჩვეულებრივი გრიპით ამავე პერიოდში დაახლოებით 150000 ადამიანია გარდაცვლილი.

8. დაიბანეთ ხელები ხშირად. ეს გახლავთ ყველაზე მთავარი მოთხოვნა! 90% დაავადება ასე ვრცელდება!

9. დღეში 2-3 ჯერ გაანიავეთ ოთახი.

10. ნიღაბი ვერაფერს გიშველით.

11. მოერიდეთ ადამიანების გადაკოცნას.

12. ნუ ვარდებით პანიკაში. ეს ძალიან, ძალიან სასაცილოა. გახსოვდეთ, რომ კორონა ჩვეულებრივი ვირუსია და, თუკი ადამიანი სხვა სერიოზული სენით არაა დაავადებული, იგი ჩვეულებრივად გადაიტანს ამ დაავადებას! და კიდევ ერთი! ის ფორმა, რომელიც ჩინეთში დადასტურებულია, სხვა ქვეყნებში ვერ ძლებს და, აქედან გამომდინარე, საკმაოდ მარტივად მიმდინარეობს!

პ.ს. გახალისდით, გააგრძელეთ ჩვეულებრივი წესით ცხოვრება, არაფერი განსაკუთრებული არ ხდება.

ასტროპროგნოზი

28 თებერვლისთვის

ვერძი – დღის პირველ ნახევარში ერიდეთ კოლექტიურ მუშაობას. საღამოს გაგიმართლებთ ოჯახურ ურთიერთობებში. **კურო** – გარისკვა რეკომენდებული არ არის. ცდუნებას ნუ აჰყვებით. მეგობრებთან ურთიერთობისას ემოციები მოთოკეთ. **ტყუპები** – სულიერ სიმშვიდეს მოიპოვებთ. დღეს მხოლოდ ის საქმე აკეთეთ, რომელშიც კარგად ერკვევით. **ქირჩხიბი** – ნუ იზარმაცებთ. ხანდახან შეგიძლიათ, თავს დასვენების უფლება მისცეთ, მაგრამ დაწყებული საქმე აუცილებლად დაამთავრეთ. **ლომი** – დღის პირველ ნახევარში ახალ ნაცნობობას ერიდეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **ქალწული** – ამბიციურობა, აგრესიულობა სიკეთეს არ მოგიტანთ. კარიერას გაუფრთხილდით. **სასწორი** – ენერგია საგრძნობლად გემატებათ. ახლა მთავარია, დრო სწორად გაანაწილოთ. **ღრიანკალი** – მაცდური დღეა. იფრთხილეთ, პროვოკაციებს ნუ წამოეგებით. **მშვილდოსანი** – ნუ იაქტიურებთ, განსაკუთრებით – კომერციულ სფეროში, ნურც მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებთ. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი დღეა ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისათვის. გელით კარიერული წინსვლა. **მერწყული** – ახალი საქმე თამამად დაგეგმეთ. გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად მიიღეთ. **თევზები** – შესანიშნავი პერიოდია პროფესიონალიზმის ასამაღლებლად. ჩაიტარეთ წყლის პროცედურები.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

სახლში დაბრუნებულ დედას შვილი ატირებული დახვდა. დედა ეკითხება:

– შვილო, რა დაგემართა.

– მამამ მცემა, თანაც ორჯერ...

– რატომ?

– პირველად იმიტომ, რომ დღიური ნახა ცუდი ნიშნებით, ხოლო მეორედ იმიტომ, რომ ეს მისი ძველი დღიური აღმოჩნდა.

●●●

მოსწავლე მასწავლებელს ეკითხება:

– მასწავლებელო, ვირი რა ასაკამდე ცოცხლობს?

– რატომ მეკითხები მიხო, თავს ცუდად გრძნობ?

●●●

მამაკაცი აფთიაქში გამყიდველს ეუბნება:

– პრეზერვატივები მინდა.

– რა ზომის?

– არ ვიცი.

– აი მაშინ ეს ნასვრეტებიანი დაფა აიღეთ, შედით ტუალეტში და მოიზომეთ.

10 წუთის შემდეგ მამაკაცი გამყიდველთან მიდის და ეუბნება:

– გადავიფიქრე, პრეზერვატივები აღარ მინდა და ეს დაფა რა ღირს?

●●●

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– ასეთი აღშფოთებული რატომ ხარ? რა მოხდა?

– ქმარს სათევზაო მოწყობილობა ვაჩუქე...

– მერე რა, ის ხომ თევზაობის დიდი მოყვარული გყავს, მგონი ყოველ კვირას დადის სათევზაოდ, ასე არაა?

– მასეა, მაგრამ ჩემი საჩუქარი ხელში ატრიალა, ატრიალა, შემდეგ მომიბრუნდა და მეკითხება: „ეს რა არის?“...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კრიშტიანო რონალდუ: „მეოთხედფინალში მაინც გავალთ“

ტურინის იუვენტუსის ერთ-ერთმა ლიდერმა კრიშტიანო რონალდუმ განაცხადა, რომ მიუხედავად ლიონთან მარცხისა, წინ განმეორებითი შეხვედრაა და იუვენტუსი მაინც გავა მეოთხედფინალში.

რონალდუს აზრით, მსაჯებმა იუვენტუსის საწინააღმდეგოდ რამდენიმე შეცდომა დაუშვეს:

– ჩემი აზრით, ერთ-ერთ ეპიზოდში მსაჯს პენალტი უნდა დაენიშნა ლიონის კარში, მაგრამ ეს უკვე წარსულია და ამაზე ფიქრს აზრი არა აქვს. ტურინში წინ 90 წუთი გველის და, დარწმუნებული ვარ, მეოთხედფინალში გავალთ. მჯერა ჩემი თანაგუნდელების.



ხოსეპ გვარდიოლა: „ჯერ არაფერი დასრულებულა“

მანჩესტერ სიტის მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ რეალის დამარცხების შემდეგ განაცხადა, რომ მიუხედავად ასეთი შედეგისა, ჯერჯერობით არაფერია დასრულებული და მისი გუნდი ყურადღებით უნდა იყოს:

– ძალიან კმაყოფილი ვარ გუნდის თამაშით და ჩვენ ვაჩვენეთ, რომ შეგვიძლია, რთული მდგომარეობიდან გამოსავალი ვიპოვოთ. დღეს სიტიმ ეს ყველას დაუმტკიცა. წინ განმეორებითი შეხვედრაა და ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, რადგან რეალი შეცდომას არ გვაპატიებს.

სიტიმ რეალი სტუმრად 2:1 დაამარცხა და განმეორებითი შეხვედრა 17 მარტს გაიმართება.

ვინიციუს ჯუნიორმა მსაჯები გააკრიტიკა

მადრიდის რეალის ბრაზილიელმა ფორვარდმა ვინიციუს ჯუნიორმა სიტის მატჩის შემდეგ მსაჯები გააკრიტიკა და თქვა, რომ ისინი რეალის წინააღმდეგ მოქმედებენ. ვინიციუსის აზრით, მსგავსი რამ მიუღებელია, რადგან რეალი პატივისცემას იმსახურებს:

– ვფიქრობ, მსაჯს სიტის პირველი გოლი არ უნდა ჩაეთვალა და მან შეცდომა დაუშვა. ზოგადად მსაჯები ჩვენ წინააღმდეგ მოქმედებენ, რაც დაუშვებელია. რეალი უდიდესი ისტორიის გუნდია და მეტ პატივისცემას იმსახურებს.

ლევანდოვსკის მუხლის ტრავმა აწუხებს

მიუნხენის ბაიერნის ფორვარდს რობერტ ლევანდოვსკის მუხლის ტრავმა აწუხებს, რომელიც მან ჩელსისთან შეხვედრაში მიიღო.

სავარაუდოდ, ლევანდოვსკი ერთ თვეს გამოტოვებს, რაც ბაიერნისთვის დიდი დანაკლისი იქნება, რადგან რობერტი შესანიშნავ სეზონს ატარებს.

ლევანოდვსკის წლევანდელ ჩემპიონთა ლიგაში 11 გოლი აქვს გატანილი და ის ამ ტურნირის საუკეთესო ბომბარდირია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ნინო ქათამაძე უკრაინაში საკონცერტო ტურნეს იწყებს

მომღერალი ნინო ქათამაძე უკრაინაში საკონცერტო ტურნეს იწყებს.

2 მარტს ქართველი მომღერლის პირველი კონცერტი ჟიტომირში ჩატარდება და 15 მარტს დასრულდება.

ნინო ქათამაძე:

– უკრაინა! გამარჯობა! მარტი დიდებული დროა სიყვარულისთვის! ერთად გავაზიაროთ! 8 ქალაქი! 8 კონცერტი! ყველას ველოდები! მართლა მენატრებით!

სტეფანე მღებრიშვილი ცინგლიანებმა შეაწუხეს

მომღერალი სტეფანე მღებრიშვილი ცინგლიანებმა შეაწუხეს:

– ეჰ, რამდენჯერ ყოფილა, გაწითლებული ცხვირით, ცინგლები რომ მოსდით, ისეთი ადამიანები მოსულან და უთქვამთ: „შეიძლება, ჩაგეხუტო და გაკოცო?“ და ისე მაგრა დაუდორბლავთ ლოყა, ოდნავ ცინგლიც მიუსვიათ...

არადა, ორ დღეში კონცერტი რომ გაქვს და ძალიან არ გინდა ვირუსი, როგორ უნდა უთხრა: „არა“.

მერე იტყვიან, ამ ჩემისას რა თავში აქვს ავარდნილი, აქეთ მეხვეწოს, გამარჯობა ვუთხრა კიდევ სადმეო.

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 2. ლუდხანის ოფიციანტი გერმანიაში; 3. ტროპიკული ლერწამი, რომლისგანაც ამზადებდნენ საწერ მასალას ძველ ეგვიპტეში; 4. მცენარეთა გამოსაზამთრებელი სათბური; 5. ლხინი, დროსტარება; 6. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 8. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 11. ქალაქის ელექტროტრანსპორტი; 14. მათემატიკის ნაწილი; 15. ქართველი მხედართმთავარი, გენერალი; 16. მასმედიის ერთ-ერთი სფერო; 17. პლანეტა მარსის ქართული სახელწოდება; 19. პრივილეგირებული მემკვიდრეობითი წოდება ძველად საქართველოში; 21. ფრანგი მწერალი; 22. ჩინური ფინიკი.

თარაზულად: 1. წყნარი ოკეანისპირა კურორტი მექსიკაში; 5. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, ბოროტი, ავი სული; 7. ალ. ყაზბეგის რომანი; 9. ავადმყოფური მიდრეკილება ქურდობისადმი; 10. ოჯახის დედის სახელწოდება ძველად იტალიაში; 12. ტბა კანადა-აშშ-ის საზღვარზე; 13. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 16. მძიმეწონიანი ტვირთების გადასაზიდი, მისაბმელიანი ავტომობილი; 17. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 18. აღმოსავლური ტკბილეული; 20. მეტროს სადგური თბილისში; 22. ხელოვნების მუზეუმი ფლორენციაში; 23. წითელი ფერის ძვირფასი ქვა; 24. ზიარებისთვის განკუთვნილი მაღალხარისხოვანი წითელი ღვინო; 25. ესპანური სპორტული გაზეთი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა